

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.  
[http://www.parliament.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=1329&info\\_id=21604](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604)

 ქართული შრიფტი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. გაბაშვილი გიორგი
2. გოგორიშვილი ხათუნა
3. გოგუაძე გია
4. ვეფხვაძე ლევანი
5. თარგამაძე გიორგი (გივი)
6. თედორაძე რამაზი
7. ლალიაშვილი ნიკოლოზი
8. ლორთქიფანიძე დიმიტრი
9. მინაშვილი აკაკი

2008-11-25 23:30

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 25 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

II ნაწილი

(საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია)

2008-  
11-25  
23:30

 რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 25 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა 

**სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამომიებო კომისიის თავმჯდომარე პ.დავითაია**

**თავმჯდომარე.** როგორც ცნობილი არის, კომისია აგრძელებს მუშაობას და ჩვენ გვქონდა საუბარი საქართველოს ყოფილ ელჩთან რუსეთში ბატონ ეროსი კიწმარიშვილთან, რომელმაც მოგვასხენა გარკვეული ინფორმაციები. სამწუხაროდ, ბატონი ეროსი გადავიდა კომისიის წევრების შეურაცხყოფაზე და ცოტა ინციდენტი მოხდა, რომელიც არ უნდა მომხდარიყო და საზოგადოებას კიდევ ერთხელ ვუხდი ბოდიშს ამასთან დაკავშირებით. მაგრამ, ფაქტიურად, ის კითხვები, რა კითხვებიც იყო დასმული კომისიის წევრების მხრიდან ელჩის მიმართ, მან, ფაქტიურად, კითხვებს პასუხს არ სცემდა და ყველა რაღაც სხვადასხვა ისტორიებს, რომელიც, მინდა ხაზი გავუსვა, გარკვეულ მნიშვნელობას იძენს მისი საუბრიდან გამომდინარე. ეს ეხება მის მოლაპარაკებაში მონაწილეობის პროცესს. საუბარი არის იგივე სამშვიდობო გეგმებზე, საუბარი არის ორმხრივ შეხვედრებზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ბატონო გიგა, იქნა ხაზგასმული, თითქოსდა, არის ე.წ. ვიღაც ადამიანი, ვთქვათ პირობითად. ჩვენ ვერ გავიგეთ. რომელ ადამიანზეა საუბარი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ვინც უწევდა, ვთქვათ, კონსულტაციებს და საუბრობდა იმაზე, რომ, თითქოსდა, ამერიკის შეერთებული შტატებიდან რაღაც მწვანე შუქები და რაღაც გაურკვეველი რაღაც საკითხები იყო, თითქოსდა, ეს ომი ნებადართული იყო და, თითქოსდა, რაღაც გამხნეება ხდებოდა. მე, კომისიას, და კომისიის წევრები დასვამენ კითხვას და, ბატონო გიგა, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, თქვენ რომ გვითხრათ აი იმ ყველა იმ მოლაპარაკებების პროცესზე, რომელიც

მიმდინარეობდა. აი, ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩვენ მოხსენებითი ბარათები გამოვითხოვეთ და ვნახეთ, რომ არც ერთი ის ქმედება, რაც ბატონმა ეროსიმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, არც ერთი ეს ქმედება, არც ერთი მისი საქმიანობა, არც ერთი ის საუბრები, რაც ჩვენ გავიგონეთ, არაფერი არ იყო მოხსენებით ბარათებში და საერთოდ მანტერესებს, საგარეო საქმეთა სამინისტრო ღებულობდა თუ არა ასეთი ტიპის ინფორმაციას, რა ინფორმაციებიც მოგვაწოდა ბატონმა ეროსიმ და თუ არ ღებულობდა დოკუმენტებით, როგორც ჩვენ ვხედავთ, იყო ეს ინფორმაცია რაღაც პირადი საუბრების დონეზე ან სატელეფონო ან, არ ვიცი, ასე ვთქვათ, სხვა კომუნიკაციის მეშვეობით, ეს ძაან მნიშვნელოვანია, აგრეთვე მის საუბარში ცალსახად ჩანდა გარკვეული მომენტები.

რაც შეეხება პროცესებში მონაწილეობას, როგორც, ვთქვამთ, არა დიპლომატი, არამედ ის ახდენდა შეხვედრების ორგანიზებას საქართველოს პრეზიდენტის. საინტერესოა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამის კურსში იყო თუ არა, ამ საქმეში და საგარეო უწყების გვერდით რატომ ღებულობდა ეს ადამიანი, რატომ აწყობდა შეხვედრებს, თუ რა ხდება ამ მიმართულებით, რა ფორმატში ხდება საერთოდ ამის დალაგება? სხვა დამატებითი კითხვები, თუ გამომჩნა რაღაც. დიახ, ქალბატონო ხათუნა.

**ბ.გოგორიშვილი.** ბატონო გიგა, წინა შეხვედრაზე, როდესაც ყოფილი ელჩი საუბრობდა, არის კონკრეტული საკითხები, რომელიც ბოლომდე, ჩემთვის პირადად, გაუგებარია. პირველი, რაც მინდა აღვნიშნო ამ მიმართულებით, ეს არის, როგორც ბატონი ელჩი ამბობდა, ყოფილი ელჩი ამბობდა ე.წ. ალასანიას გეგმა, რომელიც, მისი აზრით, იყო საკმაოდ ქმედითი და საკმაოდ კონკრეტული შედეგები შეიძლება მოეტანა მშვიდობიანი მოლაპარაკებების მიმართულებით. რას ნიშნავს საერთოდ ეს გეგმა, არსებობს თუ არა ეს გეგმა წერილობითი სახით, თუ გაქვთ თქვენ ინფორმაცია, რა პრინციპები იყო მასში ჩადებული? და საბოლოო ჯამში ჩვენ ვერ გავარკვევთ, რა ბედი ეწია, განსხვავებული ინფორმაცია იყო ამასთან დაკავშირებით. ეს პირველი საკითხი.

**გ.თარგამაძე.** ქალბატონო ხათუნა, რომ დავაზუსტოთ, კონკრეტული ამბობდა, რომ ამ გეგმაში იყო ერთადერთი საკითხი, რომელიც ეხებოდა ცეცხლის განუახლებლობაზე ქართული მხრიდან ხელის მოწერას. დამთავრდა, აი, მართლა ის, მე სხვა ინფორმაცია . . .

**ბ.გოგორიშვილი.** მეორე, რაც, ალბათ, კოლეგებიც დამეთანხმებიან, რომ ყველაზე ისეთი იყო, წარმოუდგენელი, ალბათ, რბილად რომ ვთქვათ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, მოყოლებული აპრილის თვიდან, რუსეთი მუდმივად ცდილობდა კონკრეტულ სამშვიდობო ქმედებებს, ჰქონდა მცდელობა სხვადასხვა თანამდებობის პირების გამოგზავნის საქართველოში და გარკვეული მოლაპარაკებების წარმოების და საქართველოს მხრიდან მუდმივად ხდებოდა იგნორირება და ჩვენ მიზანმიმართულად, ვგულისხმობ საქართველოს და საქართველოს ხელისუფლებას, მიზანმიმართულად ყველაფერს ვაკეთებდით იმისათვის, რომ კონკრეტული მესიჯები, ახლად არჩეული ლიბერალი პრეზიდენტისაგან წამოსული, ყოფილიყო იგნორირებული და ამას აკეთებდნენ კონკრეტული თანამდებობის პირები. ეს იყო მეორე, რაც გამოიკვეთა მის საუბარში.

და, მესამე, რაც ასევე მინდა, ბატონმა პაატამ აღნიშნა და მე მინდა, უბრალოდ, დავაკონკრეტო, რომ არაფერი, რაზეც ის საუბრობდა, არ არის ასახული იმ დოკუმენტებში, რომელიც იგზავნებოდა მისი ელჩობის პერიოდში. ინფორმაცია არის ყველაფრის შესახებ გარდა იმისა, რაც მან დღეს აქ ისაუბრა. საერთოდ, როგორი წესი არის ინფორმაციის მიღების ელჩებისგან საგარეო საქმეთა სამინისტროდან. ეს არის ჩვეულებრივი, რომ უმნიშვნელო საკითხები დოკუმენტალურად უნდა მოხდეს მიწოდება საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის და ის, რაც მნიშვნელოვანია, დაწყებული პოლიტიკური, ასევე დამთავრებული, განსაკუთრებით, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებით, როგორც არის ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა, უნდა მოხდეს კერძო სატელეფონო საუბრებით. როგორი არის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ მიმართულებით მუშაობის წესი.

**გ.გაბაშვილი.** რამდენიმე შეკითხვა, ბატონო გიგა, მეც მიქნება. ჩვენ დღეს აქ საქართველოს ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისგან მოვისმინეთ მწყობრი ვერსია რუსეთის გენერალური შტაბის მიერ გახმოვანებული თავდაპირველად აგვისტოს დღეებშივე, რომ ჩვენს არმიას ამზადებდნენ უცხოელი ინსტრუქტორები. კერძოდ, ამერიკელები და ისრაელელები, შემდგომ ამერიკელებმა მოგვცეს მწვანე შუქი ინტერვენციის დაწყებაზე. ჩვენ დავიწყეთ ომი სამხრეთ ოსეთში იმისათვის, რომ ამ ხმაურის საფარქვეშ მოგვეხდინა ორმხრივი შეტევა აფხაზეთზე კოდორისა და გალის მიმართულებებით. ეს არის მისი ვერსია. ამავე დროს ის ამტკიცებს, რომ რუსული შეიარაღებული ძალები არ იყვნენ როვის გვირაბში 6-დან 7 დამეზე და რომ რუსებს არ დაუბოძებიათ და ოს სეპარატისტებს არ დაუბოძებიათ ქართული სოფლები. ეს იყო ყველაფერი, რაც მან თქვა, მაგრამ მე ამ ვერსიის მიღმა და, თავისთავად, მინდა აკეთხოთ თქვენ, ვთქვათ, ამ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მხრიდან ასეთი ტიპის განცხადებები და ასეთი ტიპის ვერსიები მინიშნებით მაინც ან თქვენთან ან თქვენს კოლეგებთან თუ გაკეთებულა მანამდე, სანამ ის მოიხსნებოდა თანამდებობიდან 12 სექტემბერს არაკომპეტენტურობის ნიშნით. და კიდევ რამდენიმე შეკითხვა. მან თქვა, რომ ნარიშკინის ჩამოსვლა იგეგმებოდა კულტურის დღეებზე ივლისის თვეში და ეს იქნებოდა გარღვევა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში და პირველი ნიშანი იმისა, რომ რუსეთის

ახალი ლიბერალური ხელისუფლება ანუ, ასე ვთქვათ, კარგი რუსეთის მოდელი რომ ვთქვათ, ის ძალები, რომლებიც არ არიან ომის პარტია, იწყებდნენ აქტიურ მოქმედებას ჩვენთან. რა იცით ნარიშკინის სავარაუდო ვიზიტის შესახებ, თქვენ თუ გსმენიათ ამის შესახებ იმიტომ, რომ ბატონმა ეროსიმ თქვა, რომ ბატონ ვაშაძესთან ჰქონდა ამაზე ურთიერთობა და ჰქონდა თუ არა ბატონ ვაშაძეს თქვენთან საუბარი ნარიშკინის ჩამოსვლის შემდეგ სავარაუდო გარღვევაზე ამ მიაშროთულებით. ეს მეორე შეკითხვა მექნება.

მესამე. თუ გსმენიათ ოდესმე ან თქვენი პარლამენტარობის დროს იმიტომ, რომ თქვენ გავლენიანი, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი დეპუტატი იყავით, ან შემდგომ, საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს რომ აპრილში ამერიკელებმა ჩვენ მოგვცეს მწვანე შუქი, რომ დაგვეწყოს სამხედრო მოქმედებები მაისში აფხაზეთის წინააღმდეგ, ასეთი რამე თუ გსმენიათ ოდესმე, თუმცა, ბატონმა ეროსიმ თქვა, რომ ეს ინფორმაცია გადაამოწმა კეზერაშვილთან, ბაქრაძესთან და სააკაშვილთან, მათ ეს არ დაადასტურეს, მაგრამ "ლიდერშიპის" სხვა წარმომადგენლებისგან ჰქონდა მას ეს ინფორმაცია და თუ თქვენ გქონიათ ასეთი რაიმე სახის მინიშნება, ან ამერიკული ან ქართული "ლიდერშიპის" სხვადასხვა წარმომადგენლებისგან. ეს შეკითხვა იქნება. და მესამე, კიდევ ერთი, ბოლო შეკითხვა, საერთოდ, როგორ თვლით, ადამიანი, რომელიც განცხადებას აკეთებს მისი კონსულტაციებზე გამოწვევის თაობაზე მას შემდეგ, რაც ჩვენი საპარლამენტო სივრცე იქნა დარღვეული 4 მოიერიშის მიერ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ელჩი გამოიწვიოს კონსულტაციებისთვის, როცა ელჩი საჯარო კომენტარს აკეთებს იმავე დღეს, რომ სამწუხაროა, რომ ჩვენ ვერ დავარწმუნეთ ჩვენს გულწრფელობაში რუსები, დაგვიანებული ხომ არ იყო მისი არაკომპეტენტურობის ნიშნით გათავისუფლება სექტემბრის თვემდე.

პირველ რიგში, მე მინდა საზოგადოებას გარკვეული ინფორმაცია მივაწოდო. კომისიის სხდომის მიმდინარეობის პროცესში, როდესაც ბატონი ერასტი აქ იყო, რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა პირდაპირ და ოპერატიულ რეჟიმში დაიწყეს მისი სიტყვების გამოქვეყნება, რაც, ეს ჩემი პერსონალური აზრია, სერიოზულ ეჭვებს ბადებს, ხომ არ იყო ეს შეთამაშებული პოლიტიკა რუსეთის ხელისუფლების, მის მიერ მართული საინფორმაციო სააგენტოების და ბატონი ეროსის. 16 საათზე და 25 წუთზე ზუსტად მიმდინარეობს, დასაწყისიდანვე უკვე იწყება ოპერატიული ინფორმაციის გაშუქება. რაც შეეხება კითხვას, ბატონმა ერასტიმ განაცხადა, რომ არ იყო ამოწურული სამშვიდობო რესურსი. იყო სურვილი სხვადასხვა თანამდებობის პირებიდან, პირების მხრიდან, რუსეთის თანამდებობის პირების მხრიდან გარკვეულ მოლაპარაკებებზე წამოსვლის. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, ბატონო გიგა, გვითხრათ პრეზიდენტების ორ შეხვედრაზე, რომელიც, თუ არ ვცდები, ზაფხულში გაიმართა, ერთი მოსკოვში და მეორე ასტანაში. და რა მოხდა იმ შეხვედრებზე და ამ შეხვედრებიდან შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ სამშვიდობო რესურსი, პრობლემის სამშვიდობო გადაწყვეტის რესურსი კიდევ არსებობდა. დიდი მადლობა.

**გ.ბოკერია.** მოგესალმებით, პატივცემულო კომისიის წევრებო, პატივცემულო თავმჯდომარე, მადლობა მოწვევისთვის. მე დავიწყებ იმ კითხვიდან, რომელიც დასაწყისში დაისვა პატივცემული თავმჯდომარის მხრიდან და ხოლო შემდეგ რამოდენიმე კომისიის წევრმა გაიმეორა. ეს შეეხება, ეგრეთ წოდებული, მწვანე შუქის ანთებას ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისგან, მთავარი მეგობარი ქვეყნის ხელისუფლებისგან, შეერთებული შტატებისგან. ძალიან მოკლე პასუხი მაქვს ამასთან დაკავშირებით, ეს არის აბსურდი. არათუ არასოდეს არ ყოფილა ამ ტიპის მწვანე შუქი ან სიგნალი შეერთებული შტატებიდან, ჯერ ერთი, მინდა გითხრათ, რომ საქართველო სუვერენული ქვეყანაა. აქედან უნდა ამოვიდეთ პირველ რიგში. ჩვენი პარტნიორები და, პირველ რიგში, შეერთებული შტატები ყველა საჯარო განცხადებაში და ყველა კომუნიკაციაში ყოველთვის ხაზს უსვამდნენ იმ გზავნილს, რომ რუსეთი ცდილობს მუდმივად საქართველოს პროვოცირებას და რომ საქართველო არ უნდა აყვეს ამ პროვოკაციას. ეს იყო ძალიან არაორაზროვანი გზავნილი ყოვეთვის. უბრალოდ, მე დავამატებ, თქვენის ნებართვით, პრობლემა მდგომარეობდა იმაში, და ამას ჩვენ ჩვენს პარტნიორებს მუდმივად ვეუბნებოდით, რომ ეს პროვოკაციები იზრდება, საბოლოო ჯამში ეს პროვოკაციები გადაიზარდა უკვე ომის აქტში, ისეთ აგრესიაში, რომელიც პირდაპირ ემუქრებოდა ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლეს და საქართველოს სუვერენიტეტს, ანუ, ჩვენი აზრით, და დღესაც მზად ვართ, რომ დისკუსიაში შევიდეთ ნებისმიერ ჩვენს მეგობართან ამ საკითხზე. 7 აგვისტოს საღამოს საუბარი იმაზე, რომ საქართველო აღარ უნდა აჰყვეს პროვოკაციას უკვე, ჩემი აზრით, ჩვენი ხელისუფლების აზრით, იყო აბსოლუტურად შეუსაბამო, მაგრამ ეს არ ცვლის იმ კითხვაზე პასუხს, იმ კითხვაზე, რა გზავნილი იყო ჩვენი პარტნიორებისაგან. გზავნილი იყო ძალიან ცალსახა, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ყველა კრიტიკულ მომენტში, ყველაზე კრიტიკული მომენტის ჩათვლით. აბსურდულობა ამ განცხადების იმაშიც მდგომარეობს, რომ, ამის შემოწმება ძან ადვილი იყო ყოველთვის, ეს არ არის რაღაც გასაიდუმლოებული საუბარი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის ღია და საჯარო პოზიცია შეერთებული შტატების. ეს რაც შეეხება პირველ კითხვას.

იყო თუ არა საგარეო საქმეთა სამინისტრო, პირადად მე არ ვხელმძღვანელობ, რომელიმე სხვა წარმომადგენელი ინფორმირებული რაიმე სახით დღეს ყოფილი, საქართველოს ყოფილი ელჩის მიერ გაკეთებული განცხადებების რომელიმე ნაწილის თაობაზე იქამდე, მე ვგულისხმობ სკანდალურ განცხადებებს, იქ იყო რაღაც ფაქტები, რომელიც ქრონოლოგიურად მართლა არსებობდა, შეხვედრები და ასე შემდეგ. არათუ არასოდეს არ მომხდარა კომუნიკაცია ამ შემთხვევითი გზავნილებისა ბატონი კიწმარიშვილის მხრიდან წერილობითი სახით, არც

ერთი საუბრისას წერტილის ...რომელსაც მეც მქონდა მასთან, არასოდეს არ მომხადარა კომუნიკაცია, ასეთი შემთხვევითი მოსაზრებების ან მონაცემების, რომელიც, როგორც ბატონი კიწმარიშვილი დღეს აცხადებდა, მას ჰქონდა, თურმე, ძალიან დიდი ხანია. მისი კონსულტაციების მიზნით გამოწვევის შემდეგ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, აქ ეს ბევრჯერ ითქვა, მაგრამ მაინც უნდა გავიმეორო, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა ფაქტი საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის და, პრაქტიკულად, განაცხადა რომ ამ ქმედებას ჩაიდენს, როცა ჩათვლის ამას საჭიროდ და განაცხადა, რომ აღარ ცნობს, პრაქტიკულად, საქართველოს სუვერენიტეტს, ამას ხაზს ვუსვამ, იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტები წარსულშიც არსებობდა, ეს არ იყო სიახლე, მაგრამ სიახლე და თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლა სუვერენიტეტის ხელყოფისა იყო ამის დაფიქსირება ოფიციალურად. ... ადევნატური ნაბიჯი იყო დიპლომატიურ ენაზე ელჩის გამოწვევა კონსულტაციებისთვის. მით უმეტეს, რომ ჩვენი ამოცანა ამ ეტაპზე იყო მაქსიმალური საერთაშორისო ყურადღების მიპყრობა ანუ აღარმიზანია საერთაშორისო თანამეგობრობის, რაც, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ საკმარისად მაინც ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული შედეგები ამ გზაზე გვქონდა. იმიტომ შეიძლება რომელიმე ხელისუფლების ოპონენტს ეთქვა, რომ რატომ იქამდე არ მოხდა გამოწვევა კონსულტაციებისთვის ელჩის, იმიტომ, რომ იქამდეც იყო არაერთი აგრესიული ნაბიჯი, მაგრამ ეს ნაბიჯები დაგროვდა და საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება რუსეთის ფედერაციის ჩაითვალა, და მე ახლაც ვთვლი, რომ ეს აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი იყო, იმ დონეზე... აგრესიის და ხელყოფის, სუვერენიტეტის, რომ უნდა მომხდარიყო დიპლომატიურ ურთიერთობებში ძალიან მიღებული ლეგიტიმური პრაქტიკის, ელჩის გამოწვევის კონსულტაციაზე და ამ ნაბიჯზე წასვლა. ამის შემდეგ ბატონმა კიწმარიშვილმა გააკეთა ის განცხადება, რაზეც დღეს ბევრჯერ იყო საუბარი. განცხადება იმის თაობაზე, რომ, თითქოს, საქართველომ ვერ შეძლო რუსი კოლეგების დარწმუნება ჩვენი შეთავაზებების გულწრფელობაში.

მე არანაირ კომენტარს არ გავაკეთებ იმ აბსოლუტურად კომიკურ განცხადებაზე, რომ ის ხალხის სახელით ლაპარაკობდა და არა ხელისუფლების. მე არ მესმის, რაზეა ლაპარაკი ამ შემთხვევაში, მაგრამ ეს განცხადება იყო სრულ შეუსაბამობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ხელისუფლების პოზიციასთან. არანაირი ინსტრუქცია ასეთი განცხადების თაობაზე მას არ ჰქონია. ეს განცხადება იყო არაკორექტული, არაპროფესიული და იყო ზიანის მომტანი საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის.

მისი ჩამოსვლის შემდეგ თბილისში ის იქნა დაბარებული ჩემთან, მე გახლავართ პირველი მოადგილე საგარეო საქმეთა მინისტრის და მე დავიბარე ბატონი კიწმარიშვილი და ძალიან მკაცრი საყვედური მიიღო მან საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით ამ აბსოლუტურად არაკორექტული საქციელისთვის. მე რამდენადაც ვიცი, ბატონ კიწმარიშვილს გამორჩა ამ ფაქტის ხსენება დღეს მისი ვრცელი მოხსენებისას. მე მთლიანად ვერ ვუყურე და, თუ ვცდები, შემისწორეთ, მოყვა, ახსენა მან ეს ისტორია თუ არა?

**თავმჯდომარე.** არ მოუყოლია.

**გ.ბოკერია.** ეს საუბარი, მესმის, რომ შეიძლება მისთვის უსიამოვნო იყო. უნდა ყოფილიყო კიდევაც იმიტომ, რომ ეს ძალიან, კიდევ ერთხელ ვიძახი, აბსოლუტურად შეუთანხმებელი, არაკორექტული და არაპროფესიული საქციელი იყო.

**გ.თარგამაძე.** ერთი, უბრალოდ, შეგკვითხებით, . . . შეხვდით?

**გ.ბოკერია.** მე პირადად?

**გ.თარგამაძე.** იმიტომ, რომ დღეს მან განაცხადა, რომ საერთოდ, მისი დანიშვნის წინაპირობა, შეთანხმება შედგა ასეთი, რომ მას არასდროს არ ექნებოდა თქვენთან კონტაქტი და ასეთი კონტაქტი არც ჰქონია ელჩობის პერიოდში და ბოლოს თქვენს სატელეფონო ზარსაც არ უპასუხა იმისთვის, რომ საერთოდ არ ჰქონოდა არასდროს და არ ჰქონია არასდროს.

**გ.ბოკერია.** ბატონო გივი, მე დავიტოვებ უფლებას, რომ ისეთ განცხადებებზე, რომელიც სად აზრს სცდება და არის ძალიან აბსურდული, სერიოზულ კომენტარს არ გავაკეთებ. მე, უბრალოდ, მოვყვები იმას, რა ფაქტებს ჰქონდა ადგილი. მე მესმის, რომ შეიძლება ბატონი ეროსისთვის უსიამოვნოა ამის მოგონება. უნდა იყოს კიდევაც იმიტომ, რომ საუბარი იყო ძალიან მკაცრი. კიდევ უფრო მძიმე იყო, მე შემიძლია გითხრათ იმიტომ, რომ კითხვა ამაშიც მდგომარეობდა, რატომ არ მოხდა უფრო ადრე გადაყენება თანამდებობიდან. ჩემი შთაბეჭდილება, იმიტომ, რომ ამ შეხვედრის დროს, განმავლობაში, საუბრისას, მე ვერათუ ვერ მოვისმინე ბატონი კიწმარიშვილისგან რაიმე თანმიმდევრული ახსნა-განმარტება ან მისი მოსაზრება რატომ გაკეთდა ასეთი განცხადებები. მე ვიხილე აბსოლუტურად დემორალიზებული პროფესიულად და პიროვნულად, პერსონალურად და დეგრადირებული ადამიანი, რომელიც განიცდიდა მის გამოწვევას ელჩობიდან. მე მომიწია იმის თქმაც კი, მე ციტირებას ვახდენ, მან კარგი მახსოვრობა მაქვს, რომ მან უცნაურია, როდესაც სახელმწიფო მოხელე და პროფესიონალი მისი

სამშობლოს, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ ლეგიტიმურ დიპლომატიურ პროტესტს განიხილავს, როგორც მის პერსონალურ კრახს, მისი კარიერის დასასრულს. დავასრულებ წინადადებას, თუ შეიძლება. ეს იყო ჩემი შთაბეჭდილება, იგივე რეკომენდაცია, და ჩემი შეხედულება მე გავუზიარე მინისტრსაც და ყველა სხვას, ვისთანაც მქონდა შეხება, რომ ბატონი კიწმარიშვილის, ასე ვთქვათ, გამოყენება სახელმწიფო სამსახურში, მით უმეტეს დიპლომატიურ სამსახურში, ამსოლუტურად შეუძლებლად მიმაჩნდა.

რაც შეეხება იმას, რატომ არ განხორციელდა ფორმალურად აქტი უკვე გამოწვეული კონსულტაციებისთვის ელჩის მთლიანად სახელმწიფო სამსახურიდან განთავისუფლებისა, შესაძლოა მისაღები კრიტიკა იყოს და შესაძლოა მყისიერად უნდა მომხდარიყო ეს. უბრალოდ, ჩემს მოსაზრებას მოგახსენებთ, ბატონო გოკა. ნუ, ჯერ ერთი მინდა გავიხსენოთ რამდენად კრიტიკული პერიოდი იყო ეს და სახელმწიფოს, ასე ვთქვათ, ყურადღება იყო სხვა მიმართულებით, აბსოლუტურად სხვა მთავარი მოვლენების მიმართულებით. და ამას გარდა, თვითონ ამ ინფორმაციის შემდეგ გავრცელება, რომ გამოიწვიეს ელჩი კონსულტაციებისთვის და მაშინათვე სამსახურიდან გააგდეს, ჩვენი აზრით, ჩემი აზრითაც არ იყო ყველაზე ხელსაყრელი გზავნილი ამ ვითარებაში საქართველოს მხრიდან, რომ აქ პრობლემა არის ელჩთან. ეს თავისთავად უკვე ნეგატიური მოვლენა იყო და პრობლემა იყო და მინუსი საქართველოს საგარეო სამინისტროსი და მთლიანად საქართველოს სახელმწიფოსი. ბატონი ეროსი იყო გამოწვეული კონსულტაციებისთვის, მისი ფუნქცია იმ მომენტისთვის აღარ არსებობდა პრაქტიკულად და შესაძლებლობა, რომ ის დაბრუნებულიყო ელჩად, ამაში ბატონი ეროსის შთაბეჭდილება აბსოლუტურად სამართლიანია, ნამდვილად აღარ არსებობდა. მისი გადაყენება თაბამდებობიდან მოხდა მას შემდეგ, რაც სიტუაცია შედარებით დამშვიდდა, მაინც ..... ვითარება იყო სექტემბრის ბოლოს. სიმართლე გითხრათ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე ბატონი კიწმარიშვილის არსებობა დიდი ხნის განმავლობაში არ გამხსენებია, ბუნებრივია, რუსული აგრესიის ყველაზე უფრო ინტენსიურ დღეებში და იმ კრიზისულ დღეებში და მისი არსებობის შესახებ შეხსენება მოხდა სექტემბრის იმ რიცხვში, აღარ მახსოვს, თუ არ ვცდები 12 იყო, როდესაც მან თვითონ გამოიჩინა ინიციატივა და ბუნებრივია, ამ მოვლენების ფონზე, ამ განცხადებების ფონზე გარდაუვალი იყო მისი განთავისუფლება თანამდებობიდან.

**ხ.გოგორიშვილი.** ერთი დაზუსტება მინდა, უბრალოდ. თუ მე მეხსიერება არ მდლატობს, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კონკრეტული პრობლემიდან გამომდინარე ხდებოდა ელჩის გამოწვევა. ადრეც იყო ესეთი ფაქტები, მინდა თქვენ ამის შესახებ შეგეკითხოთ. იყო თუ არა ეს პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთში, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩი კონსულტაციებისთვის გამოიწვიეს? ეს 10 ივლისის გადაწყვეტილება იყო თუ არა პირველი? თუ ჰქონდა ასეთ ფაქტებს ადგილი მანამდე?

**გ.ბოკერია.** თუ არ ვცდები, ჩვენ გვქონდა მსგავსი ვითარება 2006 წელს, თარიღი არ მახსოვს, უბრალოდ, მაგრამ რომც ყოფილიყო ეს პირველი შემთხვევა, ქალბატონო ხათუნა, დიპლომატიური ურთიერთობების ინსტრუმენტებს შორის ეს არის აბსოლუტურად ჩვეულებრივი ნაბიჯი – გამოწვევა კონსულტაციებისთვის ელჩის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოდან იყო გაწვეული რუსეთის ელჩი, ამავე დროს, 2006 წელს აი, იმ გამწვავებული ურთიერთობების შედეგად. მე ვგულისხმობ ე. წ. ჯამუშობის სკანდალს და შემდეგ რუსულ ემბარგოს ქართულ პროდუქციაზე. რაც მთავარია, ეთნიკური ქართველების, მათ შორის, რუსეთის მოქალაქეების დევნას რუსეთში. ამ მოვლენების შემდეგ და თვეების განმავლობაში იყო ასეთი მდგომარეობა. ამიტომ, ამაში, არა თუ არაფერი გასაკვირი არ არის, ეხლა ეს ჩვეულებრივი დისკუსიაა, როდის რა ტიპის ნაბიჯი ჯობია, მაგრამ მე ვუბრუნდები ელჩის განცხადებას. ელჩი ქვეყნისა, რომლის სუვერენიტეტი იქნა შელახული არაერთხელ, გასული თვეების და კვირების განმავლობაში მაშინ, რომელიც იყო აშკარა საფრთხის ქვეშ აგრესიის, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, რომლის ტერიტორიული მთლიანობა იყო იქამდეც შელახული და შემდგომ ეტაპზე გადავიდა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და რომლის საჭაერო სივრცე დაარღვიეს მეზობელი ქვეყნის თვითმფრინავებმა და ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პირდაპირ განაცხადა, უპრეცედენტო რამ არის, თავისთავად ეს, რომ დიახ, ჩვენ დავარღვიეთ და დავარღვევთ, როცა საჭიროდ ჩავთვლით ამას. ახლა, ამ ფონზე გამოწვეული ელჩი, თუ მას რამე თავის პირადი პროფესიული მოსაზრება აქვს, როგორ ჯობდა, ამისდა მიუხედავად, არასოდეს უნდა აკეთებდეს ასეთ არაპროფესიულ და საზიანო ქვეყნის ინტერესებისთვის და საზოგადოების შეცდომაში შემყვან განცხადებას, იმიტომ, რომ პრობლემა მაშინ არსებობდა იმაში, რომ რუსეთი ახორციელებდა აგრესიას. იმაში კი არ არსებობდა პრობლემა, თითქოსდა ვიღაცამ საქართველოს ინტერესების შეთავაზების გულწრფელობაში ვერ დაარწმუნა რუსეთი. მე სართოდ არ მესმის, რაზეა ლაპარაკი ამ შემთხვევაში. ეხლა თუ ვინმეს, მართლა შეიძლება ჰქონოდა ილუზია, რომ ვერ დარწმუნდნენ იმაში, რომ საქართველოს სურს რუსეთთან პარტნიორული და თანასწორი ურთიერთობები და ამიტომ ხდება ასეთი აგრესია, ეხლა ეს სცილდება კრიტიკის შესაძლებლობებს, ჩემი აზრით.

**ხ.გოგორიშვილი.** უკაცრავად, კიდევ ერთი დაზუსტება, თუ შეიძლება, ეს თემა რომ ამოვწუროთ, ბატონმა კიწმარიშვილმა, მას შემდეგ, რაც მე დავუსვი შეკითხვა, რომ მან შეაფასა მისი გამოწვევა, როგორც აგრესიული დემარში საქართველოს მხრიდან, ლაპარაკი არის არა მის გათავისუფლებაზე, არამედ კონსულტაციებზე გამოწვევაზე. ამაზე პასუხი მივიღე ასეთი, რომ მან ასეთი შეფასება მისცა მის გამოწვევას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის

ელჩების და საელჩოების, ეუთოს, უკაცრავად, დამოკიდებულება, ანუ მათი მხრიდან იყო ეს შეფასებული, როგორც არასწორი ქმედება. არის თუ არა საგარეო საქმეთა სამინისტროში რაიმე ინფორმაცია, რომ რომელიმე ქვეყნის მხრიდან ელჩის გამოწვევა შეფასებული იქნა უარყოფითად და არასწორად?

**გ.ბოკერია.** მე არ ვიცი რომელიმე ჩვენი პარტნიორი ქვეყნისგან ან საერთაშორისო ორგანიზაციისგან გამოთქმულ ასეთ ოფიციალურ პიზიციას. საერთოდ უცნობია ჩემთვის, მაგრამ აქვე მინდა, ქალბატონო ხათუნა, ჩემი და ამ შემთხვევაში, ალბათ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზრება გაგაცნოთ – რომ ვინმეს არაფორმალური და პირადად ჰქონოდა შეხედულება, რომ იქნებ, სხვანაირად ჯობდა, ეს არის საქართველოს სახელმწიფოს სუვერენული გადაწყვეტილება. შესაძლოა არსებობდეს დიპლომატიურ კორპუსში რომელიმე ადამიანი, ვისაც სურდა, რომ რუსეთის ამ აგრესიაზე არ ყოფილიყო ხმაური საერთოდ. იმიტომ, რომ თავისთავად, თქვენ იცით, რომ დიდი თავის ტკივილია. არავის არ სურს გართულება საქმეების, მაგრამ ეს არ არის მათი გადასაწყვეტი. ეს არის საქართველოს გადასაწყვეტი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩემთვის, პირადად, უფრო გასაგები იქნებოდა კრიტიკა, რატომ, იქამდე გადადგმულ ნაბიჯებზე რა მოხდა. იმიტომ, რომ ნებისმიერ ქვეყანას სუვერენულს, დიდი ალბათობით მოუწევდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა 16 აპრილის გადაწყვეტილების შემდეგ. უბრალოდ, მაშინ იყო სპეციფიური ვითარება. თქვენ იცით, რომ ახალი პრეზიდენტი მოვიდა რუსეთის ფედერაციაში. როგორც არ უნდა ყოფილიყო კონტექსტი და ჩვენთვის კარგად იყო ცნობილი, ვთქვათ, ძალაუფლება რეალურდ ვის გააჩნდა, რამდენად რეალური პრეზიდენტი იქნებოდა მედვედევი. ყველა ადევნებს თვალყურს ამ ანალიზს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიეცა შანსი, საქართველომ ჩათვალა საქართველოს ხელისუფლებამ და მე ვთვლი, რომ მაინც სწორად, რომ ყველა შესაძლებლობა ამოწურულიყო ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ კომპრომისული, პოზიტიური სვლების მოძებნისა და ამაზე, ალბათ, მომეცემა შესაძლებლობა, რომ უფრო ვრცლად ვისაუბრო. მაგრამ, მოკლე პასუხი კიდევ ერთხელ არის, რომ ჩემთვის უცნობია რომელიმე ჩვენი პარტნიორი ქვეყნის ან სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაციის პოზიციის თაობაზე, რომ მათ წუხილი გამოეთქვათ იმის გამო, რომ საქართველომ მიმართა ამ აბსოლუტურად ლეგიტიმურ დიპლომატიურ სვლას, როდესაც შენი ქვეყნის სუვერენიტეტი არის ასე შელახული.

**გ.გაბაშვილი.** დავაზუსტებ, გავიმეორებ ჩემს შეკითხვას. აქამდე ჩვენთვის რაც იყო ცნობილი ღია წყაროებიდან, ჩემთვის, მაგალითად, როგორც პარლამენტის წევრისთვის იყო იმ პერიოდში, როცა ბატონი ეროსი ბრძანდებოდა ელჩი, რამოდენიმე ძალიან აგრესიული განცხადება რუსეთის მხრიდან, მათ შორის, ბატონი ლავროვის განცხადება შეუძლებლობაზე დევნილთა დაბრუნების აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. იყო გადაწყვეტილებები სარკინიგზო ჯარების შემოყვანის, იყო სადესანტო-მოიერიშე ჯგუფების განლაგების გადაწყვეტილებები და განხორციელება ოჩამჩირეში და ტყვარჩელში. ეს ყველაფერი ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს და ამავე დროს, სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა ჯავაში და ასევე აფხაზეთში. ეს ჩვენ გვახსოვს, ეს ჩვენს თვალწინ ხდებოდა და საინფორმაციო საშუალებებიც აშუქებდნენ. დღეს მოულოდნელობა ჩვენთვის იყო ბატონი ეროსის ვერსია იმასთან დაკავშირებით, რომ, სინამდვილეში, არსებობს რუსეთის უმაღლეს ხელმძღვანელობაში, ეს მან თქვა კომისიის წინაშე, არსებობს ხალხი, რომელიც სხვანაირად ფიქრობდა. ნუ, მან დაასახელა რამდენიმე სახელი, არ ვიცი რამდენად შეიძლება თქვენ გვიპასუხოთ კინორეჟისორ მიხალკოვზე ან "ეფესზე"–ს ყოფილ ხელმძღვანელ პრიმაკოვზე, მაგრამ ერთ-ერთი მართლაც თანამდებობის პირი არის, ეს არის აპარატის ხელმძღვანელი მედვედევის, ბატონი ნარიშკინი და ბატონმა კიწრმარიშვილმა თქვა, რომ აი, ის, რასაც ჩვენ ვხედავდით ჩვენი თვალთ, რუსეთის აგრესიული ზეწოლა მილიტარული კუთხით იყო ერთი, მაგრამ, ამავე დროს, იყო გარღვევის შანსი, როცა ნარიშკინმა გამოთქვა სურვილი ჩამოსულიყო თბილისში კულტურის დღეებზე. აი, ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროში, აი, ასეთი სავარაუდო გარღვევის შესახებ რუსეთის მხრიდან გქონდათ თუ არა თქვენ ინფორმაცია?

**გ.ბოკერია.** ბატონო გოკა, არათუ გარღვევაზე არ შეიძლება საუბარი, ახლა, ნუ, ვწუხვარ, რომ უნდა გავიმეორო ის, რაც, ალბათ, ამ მიკროფონიდან ითქვა მრავალჯერ და დღესაც კომისიის წევრების მხრიდან ეს კითხვა, თუ არ ვცდები, ბევრჯერ დაისვა და ქრონოლოგია იქნა გახსენებული, მაგრამ, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები უკიდურესად დაძაბული იყო მთელი ამ წლების განმავლობაში. იყო ძალიან მწვავე მომენტი 2006 წელს, რომელიც გავიხსენებ.

2008 წლის გაზაფხულიდან დაიწყო თვისობრივად ახალი ტალღა რუსული აგრესიის და საქართველოს სუვერენიტეტის შელახვისა. ეს ტალღა მოჰყვა, მათ შორის, კოსოვოს ე.წ. აღიარებას. თქვენ გახსოვთ, რომ ეს იყო პრეზიდენტ, მაშინ პრეზიდენტ პუტინის განცხადება, რომ ჩვენი პასუხი დასავლეთის მიმართ იქნება ასიმეტრიული, ჩვენ ამას ვუპასუხებთ, მაგრამ არა ზუსტად სიმეტრიულად. ნუ, პირდაპირ აღიარება არ... და, სხვათა შორის, ეს აღმოჩნდა რაღაც ეტაპზე "გულწრფელი" განცხადება.

ამას მოჰყვა ეტაპობრივად ნაბიჯები. პირველი. დსთ-ს სანქციებიდან გასვლა. მეორე. ის, რაც ხშირად ახლა დავიწყებული იყო, შემოთავაზება, რომ ისინი დაამყარებდნენ პირდაპირ კონტაქტებს მარიონეტული რეჟიმის სამართლდამცავ ორგანოებთან პატიმრების გადაცემასთან დაკავშირებით. ამაზე ჩვენ პირველი საპროტესტო ნოტა გვქონდა იმიტომ, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯი მცოცავი ანექსიის უკვე ინსტიტუციონალიზაციისა. ამას

უკვე მოჰყვა შემდეგ 16 აპრილის ღია ანექსიის პირველი ნაბიჯი, პირდაპირ დამყარება. ამას მოჰყვა დამატებითი შეიარაღებული ძალების შემოყვანა ყველა პროცედურის დარღვევით. ამას მოჰყვა სარკინიგზო ჯარების შემოყვანა, რომელთაც პრეტენზია კი არ ჰქონდათ, რომ სამშვიდობო ძალები იყვნენ. ამას მოჰყვა ჩვენი უპილოტო საჰაერო აპარატის ჩამოგდება რუსული სამხედრო თვითმფრინავით, ამას მოჰყვა პარალელურად მუდმივი ინციდენტები და თავდასხმები. ჯერ ეს ხდებოდა, ძირითადად, აფხაზეთში, როგორც გალში, ისე ზემო აფხაზეთში, შემდგომ აქცენტმა გადმოინაცვლა ცხინვალში. ამას მოჰყვა უკვე ის საჰაერო სივრცის დარღვევა, როცა, სხვათა შორის, კონდოლიზა რაისი იმყოფებოდა საქართველოში სტუმრად.

მე ჩამოვთვალე ის არასრული სია უადრესად აგრესიული ნაბიჯებისა. ამას თან, პარალელურად, თან ახლდა ჯერ მაშინდელი პრეზიდენტ პუტინის წერილი ამ მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლების მიმართ, რომ მათ აქვთ სრული მხარდაჭერა, რომ რუსეთი მათ ბოლომდე გაუწევს ანგარიშს. ამას მოჰყვა უკვე შეხვედრა ახალი პრეზიდენტისა, მედვედევის, ცოტა ხნის შემდეგ ამ ლიდერებთან მარიონეტული რეჟიმების და ოფიციალურად მათი პრეზიდენტად წოდება. სხვათა შორის, ბატონი ეროსი კიწმარიშვილის ერთ-ერთ კომუნიკაციაში არის ამაზე საუბარი, როგორც პრობლემაზე. რა თქმა უნდა, ეს იყო ძალიან აგრესიული ქესტი. ანუ ხდებოდა სრული, ყველა ფრონტზე ესკალაცია ამისი.

რაში მდგომარეობდა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ამ აგრესიის საპასუხოდ. ამაზეც ბევრი იყო საუბარი, მაგრამ მოკლედ, კიდევ ერთხელ მოგახსენებთ. ეს იყო, ერთის მხრივ, მცდელობა, ბუნებრივია, მაქსიმალური საერთაშორისო ყურადღების ცენტრში ყოფნისა და რადარებზე ყოფნისა, როგორც შემკავებელი ფაქტორი, გაგრძელება იმ მრავალწლიანი მცდელობისა, რასაც ჰქვია ინტერნაციონალიზაცია, როგორც სამშვიდობო ფორმატის, ისე, ძალიან მნიშვნელოვანი არის, უსაფრთხოების ფორმატისა, რეალურად, ორივე კონფლიქტურ რეგიონთან მიმართებაში და ამავე დროს, პარალელურად ამისა, მცდელობა და გაგრძელება მცდელობისა, განსაკუთრებით ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, რომ, იქნებ, თუკი არსებობდა შანსი აი, ამ კონიუნქტურაში, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან მონახულიყო კომპრომისი, როგორც მინიმუმ, მდგომარეობის განსამუხტავად და პოლიტიური ნაბიჯების გადასადგამად იმ ილუზიის გარეშე, რომ პრობლემა მთლიანად გადაწყდებოდა. პირველ ფონზე, მე ვგულისხმობ საერთაშორისო ყურადღებაში ქვეყნის ყოფნას და საერთაშორისო მოთამაშეების ჩართვას ამ პრობლემაში, იყო გარკვეული შედეგები, მე ახლა არ ვიზმარდი სიტყვას – წარმატებას, რომ ძნელია წარმატებაზე საუბარი იმიტომ, რომ ამ მცდელობებმა ვერ მიგვიყვანა იმ შედეგამდე, რაც გვინდოდა და ვერ შეაკავა ის აგრესია, რაზეც გვექონდა საუბარი. მაგრამ იყო შედეგები.

ეს იყო, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ვალტერ შტაინმაიერის პირდაპირი ჩართვა მოლაპარაკებებში, მინდა შეგახსენოთ, რომ ბატონი შტაინმაიერი არ ითვლება ყველაზე მკაცრ კრიტიკოსად რუსეთის ფედერაციის, რბილად რომ ვთქვათ, და გერმანია ჩვენ პარტნიორ ქვეყნებს შორის არის ყველაზე უფრო მჭიდრო კონტაქტში მყოფი ქვეყანა რუსეთთან, რუსეთის ფედერაციასთან. ანუ შესაძლებლობები ასეთი მედიატორის შემთხვევაში შედეგის მიღწევისა პოლიტიური დინამიკის მიღწევისა, თითქოს უნდა ყოფილიყო უფრო მაღალი, ვიდრე ყველა სხვა შემთხვევაში.

სამწუხაროდ, ასეთმა ჩარევამაც კი, ვერა თუ ვერ გამოიღო შედეგი, თქვენ, ალბათ, იცით, რომ აი, სწორედ იმ პერიოდში, როცა აქ ჩემს წინ მყოფი საუბრობდა რაღაც გარღვევის შესაძლებლობაზე, შტაინმაიერის ინიციატივას, რომ შემდგარიყო პირველი რაუნდი მოლაპარაკებებისა, ცივი უარი შეუთვალა სოხუმის მარიონეტულმა რეჟიმმა მოუცლელიობის გამო, საუბარი არის აგვისტოს დასაწყისზე. ეს მომყავს მაგალითად იმისი, როგორი ვითარება იყო რეალურად. ამასთან ერთად საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა არამარტო საჯარო სამშვიდობო ინიციატივები, წესითა და რიგით, ძალიან საინტერესო და მიმზიდველი ყველა მხარისათვის კონფლიქტისა, არამედ ჰქონდა პირდაპირი შეთავაზება რუსეთის ახალი პრეზიდენტის მიმართ ყველასთვის მომგებიანი კომპრომისისა, რომელიც არ მიგვიყვანდა მყისიერად პრობლემის საბოლოო გადაჭრამდე, მაგრამ დაგვაყენებდა პოზიტიურ გზაზე და იქნებოდა შანსი მომავალში სტატუსის საკითხისთვის დაბრუნებისა.

ვიცი ამაზეც იყო აქ საუბარი, მაგრამ უნდა გავიმეორო და მე ვიცი, რომ კომისიას გადმოეცა ეს წერილიც, ეს იყო შეთავაზება, რომელიც ითვალისწინებდა როგორც რუსეთის, არამარტო სახის შენარჩუნებას, ასე ვთქვათ, არამედ, პრაქტიკულად, რუსეთის სამხედრო ყოფნასაც კი სტოვებდა აფხაზეთის, საქართველოს ტერიტორიაზე, ოღონდ კოდორის მდინარის ხაზზე. იძლეოდა საშუალებას დევნილების სერიოზული, მაგრამ არასრული ნაწილის დაბრუნების, ეკონომიკური, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის დეიზოლაციის რეგიონის და უკვე შემდგომ გაგრძელებისა პოლიტიკურ სტატუსზე მოლაპარაკების, როცა განმუხტულია ვითარება, ინტერნაციონალიზებული არის ფორმატი, საერთაშორისო პოლიტიური ძალა იქმნება, რუსეთს არა თუ შენარჩუნებული აქვს სახე, კვლავ მნიშვნელოვან მოთამაშედ რჩება და ავითარებს აფხაზეთის იმ ნაწილს, სადაც დეფაქტო კონტროლი მას ისედაც ჰქონდა. მაგრამ ჩვენ გადავდივართ უფრო პოზიტიურ მდგომარეობაში და

გვაქვს შანსი წარმატების.

ჩემთვის გასაკვირი იყო, რომ ბატონ კიწმარიშვილს, თუ არ ვცდები, მისი ამ მრავალსაათიანი მოხსენებისას ეს ფაქტი ამ შეთავაზების საერთოდ გამორჩა და აღარ უხსენებია. ამ შეთავაზებაზე პასუხი რუსეთის ახალი პრეზიდენტისგან იყო და ეს მე პასუხიც აქა მაქვს და, თუ არ ვცდები, კომისიასაც აქვს. თუ არა აქვს, ყოველ შემთხვევაში, წამოვიღე, იყო ძალიან მარტივი უარი. თქმა იმისი, რომ საერთოდ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი, რომ ჯერ საქართველომ უნდა მოახდინოს დემონსტრირება მრავალი ნაბიჯის, დატოვოს ზემო აფხაზეთი, მოაწეროს ძალის გამოუყენებლობას ხელი და მერე ვნახოთ, შეიძლება დავიწყოთ ლაპარაკი. და ეს ყველაფერი ხდებოდა იმ მოვლენების ფონზე, რომელიც მე უკვე ჩამოვთვალე და აქ არაერთხელ იქნა ჩამოთვლილი.

ეხლა მე მომინდვია თქვენთვისაც და საზოგადოებისთვისაც შეფასება. ასეთ ვითარებაში, ამ ნაბიჯების ფონზე, ამ ტიპის საერთაშორისო ჩართულობის ფონზე, გამომჩნა, რომ ევროკავშირმაც გამოთქვა პირდაპირი სურვილი და ინიციატივა, რომ ჩართულიყო მოლაპარაკებებში. ეუთომ პირველად დააფიქსირა პოზიცია, რომ ფორმატი უნდა შეიცვალოს ცხინვალთან მიმართებაში და იყო ორი პირდაპირი შეთავაზება დიალოგის დაწყებისა ორივე დაიბლოკა რუსეთის ..... რეჟიმის მხრიდან.

ასეთი დინამიკის პირობებში ის ლეგენდები, რაც ჩვენ აქ მოვისმინეთ, რომ თითქოს წვიპზე ვიყავით გადაწყვეტასთან ამ პრობლემის, მე ვთვლი, რომ ამაზე მეტ კომენტარს არ საჭიროებს. მინდა შეგახსენოთ, რომ მედვედევთან პირველი შეხვედრის წინ მოხდა სწორედ სარკინიგზო ძალების შემოყვანა. ანუ ძალიან ავგრესიული ჟესტით დაიწყო ახალმა პრეზიდენტმა და ეხლა ჩვენთვის იმ ფსიქანალიზს, ეხლა სინამდვილეში შეიძლება ვინ მიიღო გადაწყვეტილება, არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს, ხომ? ძალიან ავგრესიული ჟესტით დაიწყო თავისი მოღვაწეობა.

მიუხედავად ამისა, შეხვედრა პრეზიდენტ სააკაშვილს და პრეზიდენტ მედვედევს შორის შედგა. აქ იყო კითხვა, როგორ ჩაიარაო. პირველ შეხვედრაზე მაინც უნდა ითქვას, რომ შესაძლოა შეფასებულიყო ამ ძალიან ნეგატიური კონტექსტისთვის პოზიტიურად, ოღონდ სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებით ვიძახი, ეხლა ისე არაფერი პოზიტიური ამაში არ არის. იმიტომ, რომ ჩვენი ინიციატივა იყო, რომ შემდგარიყო რუსულ-ქართული სამიტი, მოგვხსენებთ, აგვისტოში კიდევ ერთი შეხვედრა პრეზიდენტებს შორის და ის არ, ეს იდეა არ ყოფილა უარყოფითი მყისიერად. მაგრამ, სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც ჩვენ მივიღეთ, სადაც 8 ივლისს უკვე, პასუხი უარყოფითი, ჩვენ წერილობით შეთავაზებაზე, იქამდე იყო ასტანაში შეხვედრა, სადაც უკვე პირდაპირ ითქვა, რომ არ არსებობდა არანაირი მზადყოფნა ახალი პრეზიდენტის რაიმე გაფართოებული შეხვედრის ჩატარებაზე და არაფერი სათქმელი რუსეთის ფედერაციას გარდა იმისა, რაც ჩვენ ამდენი წლის განმავლობაში გვესმოდა არ ჰქონდა. და ის, რაც ჩვენ გვესმოდა ამდენი წლის განმავლობაში, თქვენ, ალბათ, მრავალჯერ მოგისმენიათ, თქვენ თვითონ, რომ საქართველომ თვითონ იცის, რა უნდა გააკეთოს. აი, ვნახოთ ერთი როგორ მოიქცევით და იმისდა მიხედვით ვიმოქმედებთ. აი ეს იყო გზავნილი, თუკი ამას შეიძლება გზავნილი დაერქვას. და ამის პარალელურად კიდევ უფრო მეტი და მეტი ავგრესიული ნაბიჯების გადადგმა რეალურ ცხოვრებაში.

**გ.გაბაშვილი.** ბატონო გიგა, დაგვიზუსტეთ, თუ შეიძლება, რა იყო ალასანიას გეგმა და რა მოხდა სტოკჰოლმში?

**გ.ბოკერია.** ჩაწერილი მაქვს და ვაპირებდი ამ საკითხთან მისვლას.

თუ არ ვცდები, ბატონ ეროსის აქ უთქვამს, რომ ალასანიას ე.წ. გეგმა ითვალისწინებდა იმას, რომ, უბრალოდ, საქართველო და აფხაზეთი მოაწერდნენ ხელს ძალის გამოუყენებლობას. ეს ძალიან შეურაცხმყოფელი ინტერპრეტაციაა თვითონ ბატონის ალასანიასთვის და მთელი საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის. ასეთ დოკუმენტს არცვი განიხილავდა არავინ. მე მინდა შეგახსენოთ, რომ მოსკოვის ორი ხელშეკრულება არსებობს. არსებობდა, ისინი დღეს ძალაში, რა თქმა უნდა, არ არის. ერთი იყო ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ანუ იმ მომენტისთვის, როგორც ჩვენ, ისე ე.წ. აფხაზური მხარე და რუსეთის ფედერაცია ვიყავით ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმში. ანუ ეს ვალდებულება საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არსებობდა. ამას გარდა, იყო მოსკოვის მეორე ხელშეკრულება, რომელსაც, ალბათ, ბატონი კიწმარიშვილი არ იცნობს, სადაც იყო ასევე შეთანხმება სრული დევნილების დაბრუნების პრინციპთან დაკავშირებით. ანუ ეს ვალდებულებაც ადებული არსებობდა. 2001 წელში არსებობდა იალტის ხელშეკრულება უკვე პირდაპირ ბილატერალური საქართველო-რუსეთს შორის ყველა ამ პრინციპის გამყარებით ანუ უსაფრთხოების საკითხები იყო მიბმული დევნილების დაბრუნებაზე. მოლაპარაკებები, რომელშიც მონაწილეობდა ბატონი ირაკლი ალასანიაც, ერთი შეხვედრა მისი შედგა, თუ არ ვცდები, მაისში სოხუმში, ხოლო შემდეგ - სტოკჰოლმში, მიზნად ისახავდა რეალურად რაიმე ახალი შედეგის მიღებას. ბუნებრივია, უბრალოდ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე ხელის მოწერა იმ ვითარებაში, როცა ეს ტერიტორიები ფაქტობრივად ოკუპირებულია, ეთნიკური წმენდაა ჩატარებული და არანაირ გარანტიებს არავინ არ იღებს რეალურად, რუსეთიც კი არ არის ამაში გარეული, რომ აღარ მოხდება შემდგომი ავგრესია ან ზემო აფხაზეთთან მიმართებაში ან არ გაგრძელდება დევნა ეთნიკური ქართველების გალის რაიონში ან რაიმე პერსპექტივა იქნება ამ პროცესის დაძვრისა საქართველოს ნაციონალური ინტერესების სასარგებლოდ, იქნებოდა



სრული სისულელე და მე დარწმუნებული ვარ და არც მსმენია, რომ ბატონ ალასანიას ან ვინმეს ჩვენთაგანს განეხილა ასეთი აბსურდი, რომ უბრალოდ ამაზე მომხდარიყო ხელის მოწერა. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ, ბუნებრივია, ნებისმიერი ხელშეკრულება უნდა ყოფილიყო, ძალის გამოუყენებლობაზე, მიზნული, როგორც დევნილების დაბრუნებაზე, ისე რეალურ მექანიზმებზე, როგორ უნდა შექმნილიყო პირობა ამ დევნილების დასაბრუნებლად და პოლიტიკური დიალოგის გასაგრძელებლად. იმიტომ, რომ ზოგადი ვალდებულება არსებობდა არა მარტო ამ ხელშეკრულებებში, არამედ გაეროს რეზოლუციებში. მაგრამ უსაფრთხოების რეჟიმის შეცვლის გარეშე ვის და როგორ შეიძლება წარმოედგინა ვითარების ან განმუხტვა ან, მით უმეტეს, დევნილების დაბრუნება. სანამ რუსეთის ფედერაციას ჰქონდა ექსკლუზიური და აბსოლუტური კონტროლი უსაფრთხოების ვითარებაზე ორივე კონფლიქტის რეგიონში, ამ შემთხვევაში აფხაზეთზე ვსაუბრობ, რეალური საუბარი იმაზე, რომ შესაძლებელი იქნებოდა ვითარების პოზიტიური შეცვლა, იყო აბსოლუტურად წარმოუდგენელი. სწორედ აქედან უნდა ამოვსულიყავით და იმის ილუზიაც, სიმართლე გითხრათ, რომ ჩვენი აფხაზი თანამოქალაქეების, აი ამ მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებთან დისკუსიით ჩვენ შევძლებდით რუსეთის გვერდის ავლას, ჩემი აზრით, იყო აბსოლუტურად არარეალისტური. ეს ბევრჯერ გვითქვამს ჩვენ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისთვის. მიუხედავად ამისა, ამ დიალოგს ჩვენ ვთვლიდით და დღესაც კი ვთვლით საჭიროდ, ოღონდ, ოღონდ, რეალური გასაღები პოლიტიკური პროცესის დაწყებისა დევს, რა თქმა უნდა, რუსეთის მონოპოლიის მოსპობაში. ეს არის ჩვენი მყარი პოზიცია და მე ვრჩები და ჩვენი ხელისუფლება რჩება ამ პოზიციაზე, სწორედ ამიტომ გვსურდა ჩვენ ინტერნაციონალიზაცია, შექმნა იმ სივრცისა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დევნილების დაბრუნება და რეალურად ისეთი ზომების განხორციელება, თავისუფალ ეკონომიკურ ზონას ვგულისხმობ, რომელიც მოგვეცადა მომავლისთვის კარგ პლატფორმას. ეს არის პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ შეთავაზება რუსეთის ფედერაციის მიმართ. ამიტომ საუბარი რაღაც გეგმაზე, როგორც აქ გაირკვა, ბატონ კიწმარიშვილი თვითონ არც იცნობდა და ასეთი რამ, მწყობრი დოკუმენტი არ არსებობდა. ეს იყო რაღაც იდეების მოსინჯვა, რომელზეც უკვე სტოკჰოლმში ჩვენმა აფხაზურმა მარიონეტულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მთლიანად და კატეგორიულად თქვეს უარი. ახლა, იქ, ბუნებრივია, იყო ბატონი ალასანიაც, რომელსაც კარგი პირადი კონტაქტები აქვს და ამის გამოყენება ყოველთვის უნდა ხდებოდეს და ხდებოდა კიდევაც ასეთი კონტაქტებისა, მაგრამ მასაც, ისევე, როგორც ყველას, იქ საერთაშორისო წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ძალიან მკაფიო პოზიცია მოისმინეს მათ აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლების და მე ვთვლი, რომ ჩვენი საზოგადოება იმსახურებს იმას, რომ იცოდეს, როგორი იყო მთავარი გზავნილი იქ მყოფი დელეგაციისა. შამბა იყო ამ დელეგაციის ხელმძღვანელი, გზავნილი იყო მარტივი, ჩვენ არა ვართ ბრიყვები, რომ გავცვალოთ რეალური რუსეთი, რომელიც აი აქ დგას, რომელსაც ტანკები უდგას ჩვენს გვერდზე, თქვენს ილუზორულ პარტნიორ დასავლეთში, რომელიც უბრალოდ განცხადებებს აკეთებს. მე ციტირებას ვახდენ, აქ შეიძლება ერთი სიტყვა შემეშალოს. მაგრამ არსი ასეთი იყო, ჩვენ არ ვართ ბრიყვები, რომ გავცვალოთ რუსული ფული, რომელიც რეალურია და აქვე მოდის, შესაძლო ეროვნულ ფულზე, რომელსაც ბევრი შეზღუდვები და წესები და ანგარიშვალდებულება.... ჩვენ არ ვართ ბრიყვები, რომ გავცვალოთ ჩვენი ეთნიკური უმცირესობის კონტროლი დღეს წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებზე, სადაც ჩვენ უნდა გავუყოთ ძალაუფლება სხვა ჯგუფებს ჩვენს ქვეყანაში, როგორც ბატონი შამბა თვლიდა, და ჩვენ არა ვართ ბრიყვები, რომ შევამციროთ ანტიქართული განწყობა, იმიტომ რომ ანტიქართული განწყობა არის ჩვენი მაკონსოლიდირებელი. ეს განცხადება იმდენად გულწრფელი იყო, ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე, რომ კიდევ ერთხელ აშკარა გახდა, მათ შორის, ბევრი საერთაშორისო მოთამაშის, რომელსაც ილუზია ჰქონდა, რომ სანამ არ მოხდებოდა რუსეთის ამ ექსკლუზიური კონტროლის და ასე ვთქვათ, როგორ ვთქვა, ასე ვთქვათ, აბსოლუტური კონტროლის მოსპობა, რასაც ჰქვია ყელში წაჭერილი, ტერმინი და ...

**თავმჯდომარე. ... ფაქტიურად დაპყრობილი...**

**გ.ბოკერია.** შეუძლებელი იქნებოდა რომც, აი ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთ ლიდერს ამ ანკლავებისა ჰქონდა განსხვავებული აზრები და მე არ გამოვირიცხავ ამას, რომ რუსული საფრთხისაც ეშინიათ, მაგალითად, აფხაზური მარიონეტული ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს, მაგრამ შეუძლებელი იყო აქ მიდწევა რეალური შედეგის, თუ არ მოხდებოდა გადახედვა უსაფრთხოების რეჟიმისა. სწორედ ამას ვცდილობდით ჩვენ, როგორც პირდაპირი კონტაქტებით რუსეთის ხელისუფლებასთან მთელი ამ წლების განმავლობაში და, მათ შორის, გაზაფხულზე და ამავე დროს საერთაშორისო ზეწოლით და საერთაშორისო ჩართულობით. სამწუხაროდ, ჩვენ ყველამ ვიხილეთ, რომ დაიბლოკა, როგორც მე უკვე ჩამოვთვალე, შტაინმაიერის გეგმა. უარი ითქვა პრეზიდენტ სააკაშვილის ამ უაღრესად მომგებიან წინადადებაზე, დაიბლოკა ვეროკავშირის მცდელობა, დაიბლოკა ეუთოს მცდელობა. პარალელურად ხდებოდა მილიტარიზაცია და პარალელურად გრძელდებოდა პირდაპირი თავდასხმები საქართველოს მოქალაქეებზე და ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რაც დასრულდა სრული და ძალიან გამჭირვალე ინტერვენციით მეზობელი ქვეყნიდან. ამიტომ, აქ საუბარი რაღაც პარალელურ რეალობაზე, რაღაც ილუზორულ სამყაროზე, სადაც გარდევის წკიპზე ვიყავით, არის აბსოლუტურად არასერიოზული. ნუ, უფრო სხვა სიტყვა რომ არ ვიხმარო.

რაც შეეხება ბატონ ნარიშკინს, ეს ინფორმაცია ჩვენამდე მოვიდა, რომ ასეთი აზრი არსებობდა. არანაირი ოფიციალური შემოთავაზება ამის თაობაზე არ ყოფილა, სამწუხაროდ, შემდეგ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა და ეს ვიზიტი არ შედგა. იქამდე გახლდათ ბატონი ზუბაკოვის ვიზიტი და ბატონ ლომიას, თუ არ ვცდები, მე არ

ვიცი ეს შეკითხვა აქ დაუსვეს თუ არა, მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია ამ შეხვედრიდან, საერთოდ, არანაირი გზავნილი არ არსებობდა, გარდა იგივე სიტყვებისა, რომ თქვენ კარგად უნდა მოიქცეთ და მერე ვნახოთ.

**თავმჯდომარე.** ბატონმა კახამ აღნიშნა ეს.

**გ.ბოკერია.** დიახ. არა, ეს იყო მუდმივი გზავნილი. ანუ, იმაზეც კი არ იყო ლაპარაკი, რაზეც შეიძლება ლეგიტიმურად ვინმეს ეკამათო, რომ, მოდი, საქართველო რაღაცაზე წავიდეს ან რაღაცას მოაწეროს ხელი და ჩვენ ამაში რაღაცას მოგვემტ. საკითხი ყოველთვის იდგა ამგვარად, რომ ჩვენ არაფერს არ გპირდებით. აი, საქართველო ცუდად იქცევა, უნდა გამოსწორდეს, უნდა გავიდეს ზემო აფხაზეთიდან, მოაწეროს ხელი ამ დე ფაქტო წარმონაქმნებთან რაღაც დოკუმენტს, რაც, სხვათა შორის, პოლიტიკურადაც მან წამგებიანი გზავნილი იყო. ანუ, ჩვენ ამით ვუბრუნდებოდით იმ პრობლემას, რომ ეს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი კი არ არის, ეს არის პრობლემები იქ, შიგნით, რაღაცა. რუსეთი არის მედიატორი, მე მინდა შეგახსენოთ, რომ პრეზიდენტ პუტინს აქვს ოფიციალურად ნათქვამი ინტერვიუში ერთ-ერთ მთავარ ფრანგულ გაზეთთან, თუ არ ვცდები "ფიგაროსთან", შეიძლება ვცდებოდე, და "მონდი" იყოს, რომ მე მან მომწონს პრეზიდენტ სააკაშვილის სამშვიდობო გეგმა, თქვა სწორედ მაშინ მან. უბრალოდ, აი, აფხაზეთთანო მოილაპარაკონო და მერე ყველაფერი კარგად იქნებაო. და, ჩვენ ვერასოდეს ვერ მოვილაპარაკებდით აფხაზეთთან, ეს იყო ის წრე, რომელიც რუსეთს ჰქონდა ძალიან კომფორტულად შეკრული, მათ შორის, საერთაშორისო თანამეგობრობასთან სალაპარაკოდ . . .

**ლ.ვეფხვაძე.** ბატონო გიგა, ჩაგვიხსენებთ ალასანიას დოკუმენტთან დაკავშირებით. ანუ, წინასწარი თანხმობა, მზაობა იყო და მერე თქვეს უარი სტოკჰოლმში?

**გ.ბოკერია.** არა, იცით რა, იყო . . . საუბარი სწორედ ამ პრინციპზე, რომ უნდა ყოფილიყო, თუკი ჩვენ წავიდოდით ამ მან კონტროვერსიალურ ნაბიჯზე, რომ მოვაწერდით ხელს ძალის გამოუყენებლობას, უნდა ყოფილიყო არა მარტო, არამედ ზოგადი გარანტია დევნილების დაბრუნებაზე. უნდა დაგვეძრა საკითხი ახალ, რეალურად ახალ ფორმატზე და ახალ უსაფრთხოების გარანტიებზე იმიტომ, რომ როგორც უკვე გითხარით, ბატონო ლევან, აბსოლუტურად უპასუხისმგებლო იქნებოდა ჩვენი მხრიდან, უბრალოდ, . . .

**ლ.ვეფხვაძე.** . . . გვეკითხებით, ბალაფშის და ალასანიას შეხვედრაზე ბალაფშის მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა ამ დოკუმენტის განხილვის და მერე სტოკჰოლმში გაჩერდა?

**გ.ბოკერია.** უფრო პოზიტიური სიგნალი იყო და მერე სტოკჰოლმში კარგი უარი იყო ნათქვამი. იქამდე ჩვენ გვექონდა მონაცემი, რომ, ნუ, აი რაღაც დისკუსია მიდიოდა, თუმცა იმ მონაცემებს, რაც ბატონი ირაკლისგანაც გვექონდა და, საერთოდ, იყო უფრო საუბარი ისევ ზოგადი პრინციპის აღიარებაზე. სხვათა შორის, ეხლა ამ ზოგად პრინციპს, ესეთ საუბარში, დღეს აი ჟენევის ფორმატშიც, ესე პირდაპირ ვერც უარყოფს ვერავინ. ყველა იტყვის, რომ არა, რა თქმა უნდა, დევნილების დაბრუნების პრინციპი მისაღებია. ოღონდ, აი მერე იწყება "მაგრამ"-ები და მერე იწყება ის გარემოებები, რომელიც შეუძლებელს ხდის, წლების განმავლობაში წელავს ამ პროცესს და რეალურად აკარგვინებს საქართველოს ამ ტერიტორიას იმიტომ, მე შეგახსენებთ კიდევ ერთხელ, ამიტომ მოვიხსენიე მოსკოვის ეს ორი ხელშეკრულება, ეს ვალდებულებები არსებობდა აღებული როგორც ბილატერალურად, ისე იმ ძალიან წინააღმდეგობრივ ხელშეკრულებებში, სადაც აფხაზეთი მხარე, მხარედ იყო მოცემული. ჰო, ჩვენ ასეთ ნაბიჯებზეც მიგვიწია თავის დროზე, როგორც ქვეყანას, არა ამ ხელისუფლებას, მაგრამ როგორც ქვეყანას, წასვლა, ძალიან წინააღმდეგობრივზე, რომლის შედეგებსაც, სხვათა შორის, დღემდე ვიშვით. მე მესმის, რომ მაშინ მძიმე მდგომარეობა იყო და შეიძლება ხელისუფლებას მოუწია ეს, მაგრამ შედეგებს იმისი, რომ ჩვენ ეს სპექტაკლი დავადგმევინეთ რუსებს, რომ თვითონ კი არ არიან მხარე, თვითონ არიან მედიატორი, ესე იყო და იქ, შიგნით ვიღაცები ერთმანეთში ჩხუბობენ და, ნუ, აი უნდა მოილაპარაკონ, რუსეთი არაფერ შუაში არ არის. ეს გრძელდებოდა წლების განმავლობაში. არც დევნილები არ ბრუნდებოდნენ, ხოლო ისინი, ვინც ნაწილობრივ დაბრუნდნენ გალში, რა მდგომარეობაში არიან, მთელმა ქართულმა საზოგადოებამ იცის და ეს ორივე კონფლიქტი რჩებოდა და რჩება დღესაც საფრთხედ მთლიანად ქართული სახელმწიფოებრიობის. ამიტომ, შეიძლება ორჯერ გავიმეორო, მაგრამ ბოლოჯერ გავიმეორო, საქართველოს ხელისუფლების ამოცანა იყო და დღესაც არის, რეალურად რუსეთის ექსკლუზივის დარღვევა უსაფრთხოების საკითხებში, ამ რეგიონებში საერთაშორისო ძალის შემოყვანა, სხვადასხვა ფორმით შეიძლება ეს მოხდეს და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ჩვენ მერე ეფექტურ დიალოგზე ჩვენს თანამოქალაქებთან ამ რეგიონში, როგორი მიუღებლები არ უნდა იყვნენ მათი ლიდერები დღეს ჩვენი, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს შედეგამდე. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ მათ ექნებათ რეალური დისკუსიის შესაძლებლობა. დღეს ასეთი დისკუსიის შესაძლებლობა, სურვილი რომც გაჩნდეს, არ არსებობს. შეიძლება რომელიმე კითხვა გამოძრჩა და, იქნებ, გამახსენოთ, ბევრი კითხვა იყო და გამახსენეთ, თუ შეიძლება.

**გ.გაბაშვილი.** ბატონო გიგა, ბატონმა ეროსიმ, ძირითადი რაც იყო, ვთქვით, სიახლე ჩვენთვის საქართველოს ყოფილი ელჩის განცხადებაში იყო ის, რომ მან განაცხადა, რომ საქართველომ დაიწყო ეს ომი ოსეთში

იმისათვის, რომ ამ ხმაურის, ასე ვთქვათ, საფარქვეშ აფხაზეთში მოეხდინა შეჭრა და რომ რუსული ჯარების შემოჭრა 6–7–ში გამთენიისკენ არ მომხდარა და ქართული სოფლები არ იბომბებოდა. ეს მან განაცხადა იმაზე დაყრდნობით, რომ ადრე ერთ–ერთ სემინარში, სემინარზე, როგორც მან თქვა, ერთ–ერთმა თანამდებობის პირმა ორ დამოუკიდებელ ექსპერტს უთხრა, რომ ჩვენ შეგვწევს ძალა, რომ, ვთქვათ, სამხედრო ოპერაცია იქ ჩავატაროთ, ანუ ბუნებრივია, წყარო, ჰუნებრივი, წყარო არასერიოზულია, მაგრამ როცა ჩვენ ჩავეკითხეთ მას, რატომ თვლის, საიდან თვლის, რა რესურსებზე, რა ინფორმაციაზე დაყრდნობით თვლის ის, რომ ის, რასაც ყველა თანამდებობის პირი, საქართველოს დაზვერვა და რამოდენიმე საერთაშორისო გამოცემა აქვეყნებს, ეს არის არასწორი ინფორმაცია, მან თქვა, რომ ყველა ოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და გავლენიანი საერთაშორისო პრესა არ მიიჩნევს, რომ, მან ახსენა კონკრეტულად, "აი-სი-ჯი", "ინტერნეშენალ კაზეს გრუპი", მან თქვა, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და ყველა, ვინც ამ საკითხზე მსჯელობს, მიიჩნევს, რომ ომი დაიწყო საქართველომ. ახლა, ბუნებრივია, რიტორიკული შეკითხვაა და მეც კი ვიცი ნაწილობრივ ამაზე პასუხი იმიტომ, რომ კომისიის წევრი ვარ და ძალიან ბევრი ინ ფორმაცია მაქვს, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროში, გარდა ბილატერალური ურთიერთობებისა ქვეყნებთან, გავლენიან საერთაშორისო სინქ ტენკებთან და გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორ არის საქმე, როგორ თვლიან, რას თვლიან და რა გამოძიების შედეგებს ელოდებიან და მოსალოდნელი თუ არა ეს დამოუკიდებელი გამოძიება ჩატარდეს ამ საკითხთან დაკავშირებით?

**გ.ბოკერია.** მე მგონი, არ არის სიახლე, უბრალოდ, უნდა გავიმეორო,

ბატონო გოკა, თქვენც იცით, მაგრამ უნდა გავიმეოროთ, რომ ევროკავშირმა ცოტა ხნის წინ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ასეთი კომისია შეიქმნას, რომელიც შეისწავლის არა მარტო 7 აგვისტოს საღამოს მოვლენებს, არამედ მთელ კონტექსტს, როგორ მივიდა ვითარება აქამდე, მათ შორის, დეტალურად იმ ასპექტებს, რაზეც ყველაზე მეტი კამათი არის. იმიტომ ის, რაც შეიძლება ბატონი კიწმარიშვილისთვის დღეს უკვე ნათელია ან ზოგიერთ ჩვენს მეზობელი ქვეყნის ანალიტიკოსისთვის, საჭიროებს კვლავ დეტალურ გამოძიებას საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. ქართული საზოგადოებისთვის და ჩვენთვისაც, შესაძლოა, ეს ყველაფერი ნათელი იყოს, მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ, საქმე გვაქვს ერთ–ერთ ყველაზე დიდ და პრობლემატურ სახელმწიფოსთან მსოფლიოში და ეს ხშირად არის ხოლმე პრობლემა იმისთვის, რომ სწრაფი დასკვნები გაკეთდეს. იმიტომ ჩვენ მოვითხოვდით ამ კომისიის შექმნას 16 აგვისტოდან და მოხარული ვართ, რომ ახლა ეს კომისია შეიქმნა და დარწმუნებული ვართ, რომ ეს კომისია შეძლებს ძალიან თანმიმდევრული სურათის დახატვას.

რაც შეეხება ბატონი კიწმარიშვილის განცხადებას, რომ, თითქოს, კონსენსუსი არსებობს იმაზე, რომ საქართველომ დაიწყო ომი რუსეთის წინააღმდეგ, ეს სცილდება ასევე სერიოზული დისკუსიის საგანს. იმ განცხადების ფონზე, რომ, თურმე, ცხინვალის ოპერაცია იყო გარკვეული მანევრი იმისთვის, რომ შემდეგ აფხაზეთი სწრაფად აეღო საქართველოს, ძნელია სერიოზულ დისკუსიაში შესვლა, ისეთი აბსურდი არის. მე მინდა გითხრა, რომ საერთაშორისო პრესაში ახლა დემოკრატიის პირობებში მრავალნაირი პუბლიკაციები იბეჭდება, საქართველო უზარმაზარი ყურადღების ქვეშ იყო და, მათ შორის, იყო ისეთი პუბლიკაციებიც, რომელიც იყო კრიტიკული საქართველოს ხელისუფლების მიმართ. დღეს ასე, მაგრამ ეს არ ცვლის იმ რეალობას, რომ ცალსახად ამ ვითარებაში რუსეთი არის აგრესორი და კრიტიკა, ძირითადად, საქართველოს ხელისუფლების იყო, რამდენად სწორად შეძლო ამ აგრესიაზე რეაგირება საქართველოს ხელისუფლებამ. მე არ ვიზიარებ ამ კრიტიკის უდიდეს ნაწილს ან თითქმის მთლიანად არ ვიზიარებ, მაგრამ მე, უბრალოდ, მინდა გაგაცნოთ აქცენტები როგორ დგას. აქ ბატონმა ეროსიმ ასევე ახსენა, რომ ეუთოს ოფიციალური დასკვნა არსებობს, რომ ქართული სოფლები არ იბომბებოდა და საქართველომ დაიწყო, ეს უბრალოდ სიცრუე არის. პირიქით, ეუთოს ოფიციალური ..... არის, რომელიც აღწერს დეტალიზაციის გარეშე იმ მოვლენებს. სამწუხაროდ, მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველოს მოთხოვნის მიუხედავად, რომ ეუთოს დამკვირვებლების რაოდენობა გაზრდილიყო რეგიონში, რათა მათ ჰქონოდათ საშუალება, რომ ყველა სოფელში ყოფილიყვნენ და რეალურად დეტალური სურათის აღწერა შეძლებოდათ, ეს ინიციატივა ყველა ჯერზე მთელი წლების განმავლობაში იბლოკებოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან. იმიტომ დეტალური ანალიზი ეუთოს არ შეეძლო, მაგრამ იმის ანალიზი შეეძლო და ის კი დაასკვნა ნამდვილად ოფიციალურ დოკუმენტში, მე შემოდოდა ეს კომისიას მივაწოდო, რომ 7–ში საღამოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა შესთავაზა, დაირღვა სადაც 10 საათზე. ეს არის მათი ოფიციალური დოკუმენტი, დაირღვა და განახლდა ცეცხლი. ისინი ვერ აზუსტებენ, როგორ განახლდა. ეხლა ჩვენ სხვა მონაცემებით, სხვა მტკიცებულებებით ვიცით, რომ იბომბებოდა ქართული სოფლები, სადაც ეუთოს დამკვირვებლები არ იმყოფებოდნენ საერთოდ. იმიტომ მთელი ეს მითი, რომელიც რამოდენიმე პუბლიკაციას ყვრდნობა, თითქოს, რაღაც ეუთოს დასკვნა არსებობს, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ვერსიას, არის უბრალოდ სიცრუე. არანაირი დასკვნა არ არსებობს. იყო პუბლიკაცია, რომელშიც ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით და ერთ–ერთ თანამშრომელზე დაყრდნობით იყო ასეთი ინტერპრეტაცია მიცემული, რაც ეწინააღმდეგება როგორც ფაქტებს, ისე ეწინააღმდეგება ეუთოს დოკუმენტებს.

რაც შეეხება რუსული ჯარების შემოსვლას 7–ში დილით. ეს არამარტო ჩვენი მტკიცებულებებით დასტურდება.

თქვენ იცით, რომ ჩვენ სატელეფონო საუბრები წარმოვადგინეთ, სადაც ძალიან გამჭვირვალე საუბარია იმაზე, რომ დიდი რაოდენობით ტექნიკა შემოდის, ტანკები და ასე შემდეგ, რომ გაიჭყედა გვირაბი. ეს არის, ციტირებას ვახდენ ამ საუბრის მონაწილე დე ფაქტო მარიონეტული რეჟიმის მესაზღვრეებისა, რუსეთის ფედერაციამ ოფიციალურად აღიარა, რომ შემოიყვანა ეს ძალები. მათ ოფიციალურად, სპიკერმა თავდაცვის სამინისტროში თქვა, რომ დიახ, ეს ჩვენი ძალები იყო. უბრალოდ, ეს გახლდათ რუტინული როტაციაო. ეხლა მე კვლავ საზოგადოებისთვის და თქვენთვის მომინდვია შეფასება იმისი. დამის 3 საათზე უადრესად ესკალაციის, ძალიან დამაბულ ვითარებაში დაბომბვის პარალელურად რუტინული როტაციის ჩატარება, დიდი რაოდენობით ტექნიკის შემოყვანა ისე, რომ არ ხდება ინფორმირება არც საქართველოსი ანუ სუვერენული ქვეყნის, არც ეუთოსი. მინდა შეგახსენოთ, რაც, ალბათ, თქვენ იცით, რომ იქამდე არსებული შეთანხმებებით ნებისმიერი როტაცია უნდა ყოფილიყო 2 თვით ადრე შეთანხმებული, როგორც საქართველოსთან, ისე ეუთოსთან, უნდა განხორციელებულიყო დღისით და ტანკები არც ერთ შეიარაღებულ ნაწილს იქ არ უნდა ჰყოლოდა. ამიტომ ეს რომ აბსურდია ყველას ესმის, რუსეთის ფედერაციას, სანამ ჩვენ ამ მტკიცებულებებს წარმოვადგენდით, არასოდეს არ უღიარებია საკუთარ ოფიციალურ დოკუმენტებში, რომ ასეთი ჯარების შემოყვანა ხდებოდა საერთოდ და მხოლოდ ამ მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ სცადა ამის მინიმალიზება, რომ კი, ეს იყო, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. ამიტომ მე ვთვლი, რომ ეხლა საკამათო ის, რომ რუსული ჯარების შემოსვლა მოხდა და სამხედრო ტექნიკის საერთოდ აღარ უნდა იყოს. მაგრამ მიუხედავად ამისა და მიუხედავად ამისა თუკი ვინმე ამაზე კამათობთ, სწორედ ამიტომ არის ეს კომისია საჭირო, რომელიც უკვე ძალიან მწყობრ და თანმიმდევრულ დოკუმენტს დადებს ამასთან დაკავშირებით.

**თავმჯდომარე.** ბატონ ლევანს სურს.

**ლ.ვეფხვაძე.** ბატონო გიგა,

**გ.ზოკერია.** დიდი ბოდიში, ბატონო ლევან, მე დავამატებ. ამ მტკიცებულების პარალელურად, ყველა, ვინც ადევნებს თვალყურს რუსულ ელექტრონულ მედიას და სხვადასხვა მოგონებებს რუსი ჯარისკაცების თუ ოფიცრების, .....უამრავ, უამრავ წყაროს, სადაც პირდაპირ არის საუბარი 7-ში დღისით აქტიური სამომარი, ფართომასშტაბიანი სამომარი მოქმედების დაწყებამდე, რუსული ჯარის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნაზე, ეხლა, ბოლო პუბლიკაცია გამოჩნდა, სადაც გმირულად დაღუპული რუსი ეგრეთ წოდებული, სამშვიდობო ოფიცერზეა საუბარი, რომელიც არტილერიის კორექტირებას ახდენდა სამშვიდობოების ბაზის სახურავიდან 7-ში ღამით. მე ციტირებას ვახდენ ამ გაზეთის,....ჩვენ, მე მზად ვარ, კომისიასაც მივაწოდო, ჩვენ, ბუნებრივია, ყველა საერთაშორისო დაინტერესებულ პირსაც ვაწვდით ამ პუბლიკაციებს, რომელიც ასე უკონტროლოდ იპარება ხოლმე და შემდეგ ცდილობენ ხოლმე კორექტირებას რუსულ ელექტრონულ მედიაში ამის.

**ლ.ვეფხვაძე.** ბატონო გიგა, კითხვები, რომელიც მე მაქვს, გამომდინარეობს ბატონი ეროსი კიწმარიშვილის დღევანდელი, ასე ვთქვათ, ჩვენებიდან, მოხსენებიდან. საქმე ისაა, რომ თქვენ, ცხადია, თანამდებობრივად მაშინდელი ამბები არ გეხებოდათ, მაგრამ იყავით და ხართ პოლიტიკური გუნდის ძაან ისეთი, აქტიური წევრი, ეს დასამალი არ არის და შეგიძლიათ თქვენი ინფორმაცია გქონდეს გარკვეული. ამიტომაც ამ ინფორმაციას მე თქვენთან შევეცდები, რომ გადავამოწმო. პირველი, რაც მინდა გკითხოთ, რა ინფორმაცია, რაიმე ინფორმაცია გაქვთ თუ არა 2004 წლის პუტინი-საკაშვილის პირველი შეხვედრების, შეხვედრის შედეგების შესახებ, იმიტომ, რომ ბატონმა ეროსიმ თქვა, რომ იქ უკვე გაჟღერდა პირველად ბატონი პუტინის მხრიდან, რომ ის არის მზად სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარების დასაწყებად. მეორე საკითხი, რომელიც ითქვა, ეს არის, ეგრეთ წოდებული, ამ რეჟიმის წარმომადგენელთან, ბატონ კოკოითთან ურთიერთობა და მასთან ერთად სანადიროდ სიარული ბატონი ოქრუაშვილის, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, და აგვისტოს დროს უკვე რამოდენიმე ათეული ადამიანი როცა დაიღუპა, თუ გახსოვთ, თურმე ეს ყველაფერი ყოფილა ბრალი იმისა, რომ ოქრუაშვილმა და კოკოითმა რაღაცა ან ფასზე ვერ მოილაპარაკეს, ან რაღაცაზე ვერ მოილაპარაკეს, ყოველ შემთხვევაში, საინტერესოა თქვენი, ვთქვათ, ინფორმაცია. შემდეგ, რა გაქვთ, რა ინფორმაცია გაქვთ უკვე ამ 2004 წლის აგვისტოში იმ დახურული სხდომის შესახებ, სადაც საუბარი უნდა ყოფილიყო ჩრდილო, უკაცრავად, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ეგრეთ წოდებული სამხედრო ოპერაციის განხორციელების შესახებ. შემდეგი, უკვე 2008 წელს გადმოვიდით, თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია, დეტალური ინფორმაცია მედვედევ-პუტინ-საკაშვილის შეხვედრის შემდეგ რა განწყობა სუფევდა ქართულ დელეგაციაში და ბატონი კიწმარიშვილი აცხადებს, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ქართულ ხელისუფლებაში გაჩნდა დედაქალაქის სოხუმში აგვისტოს თვეში გადატანის შესახებ გარკვეული გეგმები.

და ბოლო კითხვა, რომელიც შეეხება უკვე თავად 7 აგვისტოს, მე ქალბატონ ეკა ტყემელაშვილს რამოდენიმეჯერ ვკითხე, თუმცა, ვერ მივიღე პასუხი. დღეს ეს თემა გახდა აქტუალური იმიტომ, რომ 7 აგვისტოს ბატონ სააკაშვილს უსაუბრია 4 საათზე ბატონ კიწმარიშვილთან, თუ გახსოვთ, ქალბატონ ეკა ტყემელაშვილს მე რამოდენიმეჯერ ვკითხე, ვის ესაუბრა 7 აგვისტოს, ბატონი მიხეილ სააკაშვილი, თუ გაქვთ ეს ინფორმაცია ანუ უცხოელ დიპლომატებს, უცხო ქვეყნის მეთაურებს, ქართველ პოლიტიკოსებს და ასე შემდეგ.

**დ.ლორთქიფანიძე.** მე დავამატებ, ბატონო გიგა, კითხვა შეეხება, როგორც ბატონი ერასტი კიწმარიშვილის პიროვნებას, თუ რა ნიშნით შეირჩა იგი საქართველოს ელჩად რუსეთში, ასევე ზოგიერთ სხვა ასპექტსაც. კერძოდ, მან განაცხადა, რომ 2007 წლის 2 ნოემბერს, მასთან მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი ვანო მერაბიშვილი, რომელმაც შესთავაზა და გააცნო მას იდეა მისი ელჩად წარდგენის შესახებ. ამის შემდეგ მან განაცხადა, რომ იგი ხელმძღვანელობდა საარჩევნო პიარს პრეზიდენტ სააკაშვილისა, 5 იანვრის არჩევნებს ვგულისხმობ, ამის შემდეგ უკვე, ჩვენ ვხვდებით ბრძანებას. ბრძანების თანახმად, იგი იანვარში ინიშნება უკვე საქართველოს ელჩად რუსეთში. წარდგინება ხდება დიახ, იანვრის თვეში, საქართველოს ელჩად რუსეთში და ჩემი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: როდესაც იგი წარადგინეს და როცა იგი დაინიშნა უკვე, თუ რა დირექტივებით აღიჭურვა იგი საგარეო საქმეთა უწყებიდან და თუ ეს დირექტივები არ სრულდებოდა ელჩის მიერ, რატომ არ დადგა მისი პასუხისმგებლობის საკითხი. და მე როცა პასუხისმგებლობის საკითხს ვგულისხმობ, არ გამოვიცხავ, რომ დღევანდელი დღის მერე მის მიმართ შესაძლებელია დადგეს საკითხი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებაც, ვინაიდან საკითხები ეხება მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციებს, რომელმაც, რომელიც, თუ არ დადასტურდა, მე დარწმუნებული ვარ, რომ მის მიმართ გარკვეული ხასიათის მოკვლევები ჩატარდება. მე მინდა თავი შევიკავო დევნასთან დაკავშირებით. გამადლობთ.

**გ.ბოკერია.** გამადლობთ. 2004 წელში, გადავინაცვლოთ იქ იმიტომ, რომ, რამდენადაც მე ვიცი მე, ეს გამოვტოვე, რა, ბატონ კიწმარიშვილს უსაუბრია ამაზე და დაახლოებით ვიცი, რაც ისაუბრა. მე გახლდით პარლამენტის წევრი 2004 წლის აპრილიდან, მაგრამ თქვენ სწორად ბრძანეთ, ბატონო ლევან, ბუნებრივია, ეს შეხება პოლიტიკურ ცხოვრებასთან მქონდა, როგორც აქტიურ წევრს, უკვე იმ პოლიტიკური ჯგუფისა რევოლუციის შემდეგ. და რაც შეეხება პუტინთან პრეზიდენტ სააკაშვილის პირველ შეხვედრას, არათუ დასამალი არ არის, ეს იყო დეკლარირებული კურსი საქართველოს ხელისუფლებისა, რისთვისაც, სხვათა შორის, მაშინ გვაკრიტიკებდნენ, მცდელობა მართლაც, რომ თუკი ამის შესაძლებლობა არსებობდა, რუსეთის ფედერაციასთან დაწყებულიყო ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან, ოღონდ, ბუნებრივია, ჩვენი ნაციონალური ინტერესების დაცვით. და ამ მცდელობის ნაწილი იყო ქართული მხარის ინიციატივით პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტი მოსკოვში, სადაც, ვინც ადევნებდა თვალყურს ამ მოვლენებს, უნდა ახსოვდეს მისი საჯარო განცხადებებიც, რომ საქართველოს სურს რუსეთთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობა, ეს ჩვენს ინტერესებში შედის, ოღონდ, ბუნებრივია, საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა უნდა იყოს დაცული. რომ გავამარტივო, იქ ბევრი ვრცელი გამოსვლა იყო, მაგრამ ეს იყო მთავარი გზავნილი. და გზავნილი მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოს წარმატება არ არის რუსეთის მარცხი, რომ პირიქით, ჩვენი წარმატება შეიძლება იყოს საერთო. ჩვენ დაინტერესებული ვართ, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობაში, ისე ბიზნესურთიერთობაში და, მართლაც, ამის არამარტო დეკლარირება მოხდა, ძალიან კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. და მიუხედავად იმ კრიტიკისა, რომელიც მოჰყვა ამას საქართველოში ზოგიერთი პოლიტიკური ძალის მხრიდან, მე ვთვლი, რომ ამის მცდელობა იყო აბსოლუტურად სწორი და ლეგიტიმური ცდა. ამას მოჰყვა პირველი, ამ ინიციატივის პირველი გამოცდა მოეწყო აჭარის კრიზისთან, ასლან აბაშიძის კრიზისთან მიმართებაში. და მინდა გითხრათ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და რუსეთის სახელმწიფომ მაშინ, პირდაპირ რომ ვთქვა, ძალიან ნეგატიური როლი ითამაშა, სცადა ეთამაშა ნეგატიური როლი, შეგიძლიათ იხილოთ მაშინდელი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებები, საჯარო, იმასთან დაკავშირებით, როგორ მაზავს თბილისი აჭარაში ურთიერთობას, ვითარებას, როგორ უჭერენ ისინი აბაშიძეს მხარს. ამას გარდა, ფაქტობრივადაც, ადგილზე ბატონ აბაშიძეს ჰქონდა, როგორც ფინანსური, ისე სხვა სახის მატერიალური დახმარება, მაგრამ თქვენ იცით, რომ, პირველ რიგში, ქართული საზოგადოების და ჩვენი აჭარაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სამოქალაქო გამბედაობის და ამასთან ერთად, ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვოდი, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკური ნების, თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად მოხდა საქართველოს ამ ისტორიული პრობლემის, რასაც ასლან აბაშიძის რეჟიმი ერქვა, ამოძირკვა, არ მომერიდება ამ სიტყვის თქმა, მსხვერპლის გარეშე, მშვიდობიანად და ეს მოხერხდა ისე, რომ რუსეთის ფედერაციამ და ასლან აბაშიძემ ვეღარ შეძლეს უფრო უარესის გაკეთება. ნუ, თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ მაისის თვეში, ნუ, პრაქტიკულად, ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რაც იყო დარჩენილი, უნდა დაეხოცათ, ალბათ, ყველა მოქალაქე აჭარის იმისთვის, რომ გაეჩერებინათ ის საყოველთაო მშვიდობიანი ამბოხება, თუ გინდათ ასე ვთქვათ, რომელმაც წერტილი დაუსვა ასლან აბაშიძის რეჟიმს. მინდა ასევე გითხრათ, რომ ბატონი ივანოვი იყო ჩამოსული მაშინ და მისი მთავარი გზავნილი იყო მცდელობა, რომ სტატუს-კვო შეენარჩუნებინა და ის მითი, რომ, თითქოს, ის ჩამოვიდა აბაშიძის წასაყვანად, ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს არ არის ჩემი თეორია, ეს არის ყველასთვის ცნობილი ფაქტი, ვისაც ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ივანოვთან. ანუ რისი თქმა მინდა მე ამითი. პირველივე გამოცდისას რუსეთის ფედერაციის მხრიდან არანაირი პოზიტიური სიგნალები არ წამოსულა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ სცადა გაგრძელება პოზიტიური რიტორიკისა. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ ჩვენ გავაკეთეთ განცხადება, რომ მაძლობელი ვართ, რომ რუსეთმა არ ითამაშა ნეგატიური როლი. იგულისხმებოდა, რომ კიდევ უფრო ნეგატიური შეიძლება ეთამაშა ანუ ჯარს რომ პირდაპირ დაეხოცა იქ ხალხი, და მზად ვართ, რომ გავაგრძელოთ დიალოგი. და პრეზიდენტ პუტინის ზარის თაობაზე პრეზიდენტ სააკაშვილთან. პოლიტიკურ გარემოცვაში პრეზიდენტის და პოლიტიკურ კლანში, არა მარტო, ვთქვათ, მაღალი

თანამდებობის პირებში ეს ყველასთვის ცნობილი გზავნილი იყო პრეზიდენტ პუტინისა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაგრძელებდით ამ მცდელობას, რომ რუსეთის ფედერაციისთვის გვეჩვენებინა, რომ იმ რეჟიმის გაგრძელება, რასაც ჰქვია საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა, არ შედიოდა, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესებში და იყო საზიანო და სახიფათო ჩვენთვის, ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის, მაგრამ იყო საზიანო რუსეთისთვისაც, რომ საქართველოში მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომელსაც აქვს ძალიან ძლიერი მხარდაჭერა საზოგადოების და ხალხის და ყველასთვის მომგებიანი იყო, რომ ჩვენ გვეპოვა საერთო შეხების წერტილები. სამწუხაროდ, სწორედ მაგ დროიდან დაიწყო, ბატონო ლევან, აი ეს გაურკვეველი გზავნილების, ვთქვათ, შემოთვლა, რომ თქვენ იცით, ეხლა, როგორ უნდა მოიქცეთ და მერე ვნახოთ, ჩვენ რას ვიზამთ. როცა ჩვენი მხრიდან იყო, როგორც პრეზიდენტ სააკაშვილის მხრიდან სატელეფონო საუბარში, რომელიც რამოდენიმეჯერ შედგა, შემდეგ პრეზიდენტ პუტინთან, პირდაპირ შემოთავაზება, რომ ჩვენ გვსურდა, რომ რუსეთი ყოფილიყო ამ პრობლემების გადაწყვეტის მონაწილე და მთავარი, გენბავთ, ანუ ბენეფიტების მიმღები, რომ მათ სამშვიდობო როლი შეასრულებს. როგორ აბსურდულადაც არ უნდა ჟღერდეს ეხლა ეს დღეს და ემოციურად შეუძლებლადაც კი, თუკი ამის შანსი არსებობდა, ჩვენ ამისთვის გავაკეთეთ ყველაფერი.

რაც შეეხება ცხინვალის მოვლენებს. თქვენ გახსოვთ ეხლა დინამიკა, მე მოგახსენეთ აჭარის მოვლენები იყო ამის შემდეგ. თქვენ, ალბათ, კარგად გახსოვთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო ზომები, რომ ის ორგანიზებული დანაშაულის და, მათ შორის, ტრეფიკინგის, ნარკოტიკებით, იარაღით ვაჭრობის სამოთხე, რომელიც არსებობდა იქ, ერგენტში და ამ ტერიტორიაზე, ყოფილიყო დახურული და ამასთან ერთად სცადა, რომ ჰქონოდა საკმაოდ ენერგიული, მაგრამ სამშვიდობო ინიციატივები ცხინვალთან მიმართებაში. იმიტომ, რომ რეჟიმი იქ იმ მომენტისათვის ძლიერი არ იყო. ამის პარალელურად მუდმივი კონტაქტი და დისკუსია იყო რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ყველა დონეზე, მე ჩემს დონეზე შემიძლია მოგახსენოთ და მოგიყვანოთ ამის მაგალითები, რომ ჩვენ გვსურს, რომ მათი მონაწილეობით მოხდეს სამშვიდობო მოგვარება ამ პრობლემისა. სამწუხაროდ, ამის პასუხად და პირველ რიგში, ალბათ, ეს შეეხებოდა ორგანიზებული დანაშაულის, ერგენტის დახურვას, ამას მოჰყვა პასუხად პირდაპირი ძალადობა და იზოლირების მცდელობა საქართველოს კონტროლის ქვეშ მყოფი სოფლების. ამას მოჰყვა ჩვენი მხრიდან მოვლითი გზის გაკეთება, უბრალოდ, ორი სიტყვით... დინამიკას

... დაგისვამთ, თუ შეიძლება.

**გ.ბოკერია.** აუცილებლად, დინამიკა დავასრულოთ, თუ შეიძლება, ბატონო..., დიდი ბოდიში, გვერდითი გზის გაკეთება. ამას უკვე მოჰყვა თავდასხმები ამ გზაზე და ქართველი პოლიციელების და სამხედროების დაღუპვა და ჩვენ შევედით უკვე ძალიან ღრმა კრიზისში. ამ პროცესის დროს კონტაქტები ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რა თქმა უნდა, არსებობდა. მე ვერ გეტყვით ბატონო ოქრუაშვილის დეტალურ კონტაქტებზე, როგორც კოკოითან, ყველასთან. ნადირობის ლეგენდებზე მე არაფერი არ მსმენია, სიმართლე გითხრათ, და ბატონი კიწმაროშვილის დღევანდელი განცხადებების, სხვა განცხადებების ფონზე ძალიან მიჭირს, რომ სარწმუნოდ მივიღო ეს დეტალი. არ ვიცი, მაგრამ კონტაქტები და მცდელობა, რომ მოხერხებულიყო, პირდაპირ ვთქვათ, გარიგების მოხდენა პოლიტიკურის, როგორც მოსკოვთან, ისე დე ფაქტო ადგილობრივ ე.წ. ელიტასთან, რომ მშვიდობიანი გზით მოგვარებულიყო პრობლემა, იყო აბსოლუტურად ლეგიტიმური ნაწილი საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკისა. ამას არათუ ვადასტურებ, ეს უნდა ყოფილიყო კიდევაც ასეთი ჩვენი მცდელობა.

**ლ.ვეფხვაძე.** უბრალოდ ამ თემას, კონტრაბანდის თემა მინდა განვაგრძო, იმიტომ, რომ ბატონმა ეროსიმ პირდაპირ დაადანაშაულა ბატონი ოქრუაშვილი კონტრაბანდაში ანუ საუბარი იყო იმაზე, ყველას ახსოვს გზების გადახვნაში და გადახვნაზე, რომელიც, ეს შემოვლითი გზები, რომლითაც შემოდის საქონელი და ერთადერთი გზის დატოვებაში, რომელსაც ოქრუაშვილი აკონტროლებდაო. თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია და ერთ-ერთი მიზეზი სწორედ კოკოითისა და ოქრუაშვილის ურთიერთობის გაფუჭებაში, თუ არ ვცდები, ეს კონტრაბანდის თემა იყო დასახელებული.

**გ.ბოკერია.** არა, ვწუხვარ, ბატონო ლევან, ეს, უკეთეს შემთხვევაში იქნებოდა ძაან გამარტივებული, ზედაპირული და მცდარი შეხედულება. კონტრაბანდის აღმოფხვრა ესე მყისიერად არ ხდება და ეს პრობლემები ქვეყნებში, რომელსაც ძალიან მყარი საზღვრები აქვთ, იქაც კი არსებობს ხოლმე. მე, უბრალოდ, მინდა შეგახსენოთ, რომ 2004 წლის ზაფხულამდე ეს კონტრაბანდა კი არ იყო, ეს იყო ლეგალიზებული აბსოლუტურად ღია ორგანიზებული დანაშაულის .... ეს აბსოლუტურად ღიად ხდებოდა იქ და, ბუნებრივია, ამ პრობლემის გადაწყვეტას მოჰყვა ძალიან მტკივნეული რეაქცია და ამ მტკივნეული რეაქციის მსხვერპლი და მძევალი გახდნენ ის სოფლები, რომლებიც მოწყვეტილი იყვნენ, მაგრამ იყვნენ საქართველოს ხელისუფლების კონტროლის ქვეშ და აუცილებელი იყო მათთვის ალტერნატიული ინფრასტრუქტურის შექმნა, რასაც უკვე მოჰყვა, როგორც უკვე გითხარით, თავდასხმები აი ამ გზაზე, რომელიც აუცილებლად ვალდებული იყო საქართველოს ხელისუფლებამ, რომ დაეცვა. ამის შემდეგ უკვე, როცა ერგენტის პრობლემა პრინციპიალურად, ინსტიტუციონალურად იქნა გადაწყვეტილი, შემდგომშიც ჩვენ გვექონდა არაერთი შემთხვევა, მათ შორის, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების გარეშისა ორგანიზებულ დანაშაულში, მათ შორის, კონტრაბანდაში და, თქვენ იცით, რომ ასეთ შემთხვევებს ძალიან მკაცრი რეაგირება მოჰყვა. ეხლა ამ პირებიდან ზოგიერთი მათგანი იყო

დაკავშირებული ბატონ ოქრუაშვილთან და, ალბათ, დღეს არავისთვის საიდუმლო არ არის, ბატონი ოქრუაშვილის უკმაყოფილება გამოიწვია თავის დროზე, 2005 წელს აი ამ ჩვენივე სამართალდამცავების დაკავების სერიამ, რაც აბსოლუტურად ლეგიტიმური და აბსოლუტურად სწორი პოლიტიკა იყო, თუკი ჩვენ არ გვსურდა, რომ აღორძინებულიყო ხელახლა ახალი ფორმით კონტრაბანდა, მაგრამ ეს არანაირ კავშირში არ არის იმ პრობლემასთან, რაზეც ჩვენ დავიწყეთ საუბარი. 2004 წლის ზაფხულში, სამწუხაროდ, რუსეთის სწრაფი რეაგირების გამო, და მე ამას ხაზს ვუსვამ, ვერ მოხერხდა სწრაფი, და ნეგატიური, აგრესიული რეაგირების გამო, ვერ მოხერხდა სამშვიდობო, მშვიდობიანი მოგვარება ყოველგვარი სამხედრო თუ პოლიციური ოპერაციების და ძალადობის გარეშე ცხინვალის პრობლემისა, რომელიც აბსოლუტურად რეალისტური იყო, ჩემის აზრით, დღესაც და წლების წინ კიდევ უფრო რეალისტური იყო, როცა იქ იყო სხვა ლიდერი და არა კოკოითი, მაგრამ რუსეთმა, რომელმაც ვერ მოასწრო რეაგირება "ვარდების რევოლუციაზე", ვერ მოასწრო ეფექტური რეაგირება აჭარის მოვლენებზე და ასლან აბაშიძის ჩამოშორებაზე, უკვე მოიკრიბა ძალა, ცხინვალში გაუწია საქართველოს ხელისუფლების ამ მცდელობას უფრო ორგანიზებული წინააღმდეგობა და, თუმცა, მარტივი სახით წინააღმდეგობა – პირდაპირი ძალადობით. თქვენ იცით, რომ როცა ძალადობა და სროლა იწყება, რთულია შემდეგ ამ ტიპის სამშვიდობო ინიციატივებით ეფექტური შედეგის მიღება. შემდეგ, აი ბატონი კიწმარიშვილი საუბრობდა რაღაც შეკრებაზე, სადაც წყდებოდა ბედი, ვთქვათ, მიემართა თუ არა საქართველოს ხელისუფლებას ძალისთვის, მე ვერ გეტყვით ახლა, რომელ შეხვედრაზე იყო ლაპარაკი და კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ბატონი კიწმარიშვილის რეპუტაცია ამ განცხადებების და ძველი განცხადებების და მისი პროფესიული საქმიანობის ფონზე შესაძლებელზე უფრო დაბალი არის, ამაზე დაბლა არ არსებობს. ამიტომ ახლა მის სიტყვებს ვერ დავყვრდნობი. იმ უაღრესად კრიტიკულ ვითარებაში, როცა ილუპებოდნენ ჩვენი ჯარისკაცები და როცა ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე და უსაფრთხოება იყო პირდაპირი და აშკარა მყისიერი საფრთხის ქვეშ და მე მინდა შეგახსენოთ, რომ უკვე მაშინ მილიტარიზაციის, ღია რუსული მილიტარიზაციის ნიშნები იყო, როგორც ჯავაში, ისე საზღვართან. თქვენ გახსოვთ ამის შესახებ მრავალი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებას მიეწოდა. რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებას უნდა მიეღო ზომები, რათა აღეკვეთა ეს მიმდინარე ძალადობა და ის ოპერაცია, რომელიც აქ იქნა ნახსენები, იყო ნაწილი ასეთი ზომებისა. რა მასშტაბის ოპერაციას ჩაატარებდა საქართველოს ხელისუფლება, შესაძლოა, ეს ყოფილიყო დისკუსიის საგანი, მაგრამ არც მაშინ, არც შემდეგ საქართველოს ხელისუფლების ამოცანა არ ყოფილა და არ შეიძლება ყოფილიყო ძალის გამოყენება. ჩვენი ამოცანა იყო და რჩებოდა ამ კონფლიქტების მოგვარება, ჩვენი ამოცანა იყო და რჩებოდა ინტერნაციონალიზაცია ფორმატის და მინდა გაითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი სახით ინტერნაციონალიზაცია ამ ფორმატების გულისხმობს, რომ საბოლოო მოგვარება რაღაც დროით უნდა გადაიდოს ყველა შემთხვევაში, იმიტომ რომ ამას დრო დასჭირდება. უბრალოდ, სწორ და პოზიტიურ კალაპოტში ჩადგება ეს ყველაფერი. ამიტომ ეს ბრალდებაც მიმაჩნია სრულ აბსურდად და გავაგრძელებ ერთი წინადადებით. აქ მერე ითქვა, ზურაბ ჟვანიას სახელი ახსენა ბატონმა კიწმარიშვილმა, თქვა რომ რომელიღაც რუს თანამდებობის პირს უთქვია, რომ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ გაქრა შანსები ამ პოზიტიური მოლაპარაკებების და იქამდე იყო შანსი. ბატონ ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული სიკვდილი მართლა დიდი დანაკარგი იყო, როგორც ამ ხელისუფლებისთვის, მთლიანად საქართველოსთვის ნამდვილად, მაგრამ ასეთი სიცრუით გარდაცვლილი პოლიტიკოსის ხსოვნის და ამით სპეკულირება არის, ჩემი აზრით, უზნეობა. მე, უბრალოდ, მინდა გავახსენო ყველას, რომ გორის ტერაქტი მოხდა რამოდენიმე დღით ადრე, თუ არ ვცდები, ბატონი ჟვანიას გარდაცვალებამდე და იქამდე, ორი დღით აი მახსენებენ, და მთელი სერია იყო ტერაქტების, ანუ ამაზე, ბატონო ლევან, რატომ ვამახვილებ ყურადღებას, თქვენ გასაუხობთ პირველ რიგში. მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა, როგორ ვთქვა, გაყინვა ვითარების ცხინვალის რეგიონში ანუ მოხერხდა ის, რომ ერგნეთის ბაზრობა აღარ იყო, სამწუხაროდ, ჩვენი მცდელობა, რომ ჩვენი ენერგიული სამშვიდობო ინიციატივით მომხდარიყო რეალური ინტეგრაცია რეჟიმის და რუსებს ვერ მოეხერხებინათ ამის დაბლოკვა, ან მიეღოთ ამაში მონაწილეობა, ვერ დასრულდა წარმატებით, მაგრამ ორგანიზებული დანაშაულის ამ ღია ფორმებს მიეღო ბოლო და მოვვახერხეთ ასევე ალტერნატიული გზის შექმნა და შენარჩუნება ინფრასტრუქტურის ჩვენი სოფლების მიმართ და მათი უსაფრთხოების მეტ-ნაკლებად გარანტირება. გაიყინა ეს ვითარება და ძალიან მცირე ხნის შემდეგ ჩვენ ვიხილეთ, რომ არათუ მოგვეშვა მოწინააღმდეგე, ცხინვალის რეგიონის გამოყენებით მთელი ტერაქტების სერია მოეწყო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. ანუ, შეტევაზე გადმოვიდნენ აქეთ. ეს არ იყო მარტო გორის ტერაქტი, შეგახსენებთ, ეს იყო ტერაქტები ელექტროგადამცემი ხაზის აფეთქების. ერთი და იგივე ჯგუფი მუშაობდა, მთელი სერია იყო.

ეს არ იყო მარტო გორის ტერაქტი, შეგახსენებთ, ეს იყო ტერაქტები ელექტროგადამცემი ხაზის აფეთქების. ერთი და იგივე ჯგუფი მუშაობდა, მთელი სერია იყო.

მე ასევე შეგახსენებთ, რომ ამას მოჰყვა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ლეგიტიმური და საკმაოდ ეფექტური რეაგირება როგორც ამ კრიმინალების, პირდაპირი გაგებით კრიმინალების, ისე რუსული სპეცსამსახურების მონაწილეობის გამოსავლენად და ერთი წლის შემდეგ იქნა დაკავებული რუსი ოფიცერი ბოიკო, რომელიც პირდაპირ მონაწილეობდა ამ ტერაქტებში და ამის მტკიცებულებები არსებობდა, რომელიც ჩვენ გადავეცით რუსულ მხარეს ძალიან მკაფიო გზავნილით, რომ ავტეხავთ ხმაურს ამაზე, მაგრამ ეს არის გზავნილი, რომ საქართველო აღარ არის ძველი საქართველო, შევარდნაძის დროინდელი ხელისუფლებით, სადაც შეგიძლიათ დაუსჯელად იმოქმედო მის ტერიტორიაზე და რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო აპარატი, რომელიც

ამას პასუხს გაცემს. სამწუხაროდ, ამ გზავნილზე პასუხი იყო აგენტურული და ჯამშუმების მოღვაწეობის კიდევ უფრო გააქტიურება საქართველოს ტერიტორიაზე და ამის შემდეგ უკვე ჩვენ მივიღეთ, თუ გახსოვთ, ის გადაწყვეტილება, როცა მთელი ქსელი იქნა აყვანილი და საჯაროდ, პოლიტიკური ფასის დადებით, გადაეცა რუსეთის ფედერაციას იმიტომ, რომ სხვა გზა ჩვენ აღარ გვრჩებოდა.

ამით მსურდა იმის თქმა, რომ ილუზია, რომ საქართველო ძაბავდა ვითარებას არის, ნუ, მინიმუმ არაინფორმირებულობა ან თანამდებობის დაკარგვით განაწყენებული და პოლიტიკაში წასვლის მოსურნე ადამიანის მხრიდან სრულიად უპასუხისმგებლო და უსინდისო რეალობის ფაბრიკაცია, ნუ, ან არ ვიცი, სრული არაკომპეტენტურობა და მოწყვეტა რეალური ცხოვრებისგან. იმიტომ, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების ამოცანა იყო, რა თქმა უნდა, გაძლიერება ჩვენი თავდაცვისუნარიანობის. მე მგონი, ამ ბოლო აგრესიის შემდეგ თუ კიდევ კითხვა უჩნდება ვინმეს რატომ უნდა გვეცადა, რომ მაქსიმალურად გაძლიერებული ვყოფილიყავით, ნუ, არ ვიცი, თუკი ასეთი კითხვა კიდევ ვინმეს აქვს.

და მეორე. მუდმივი ძებნა რუსეთთან ისეთი ვარიანტის, რომელიც დაგვამკვრევინებდა პროცესებს სახიფათო მიმართულებიდან. და, ამის პარალელურად, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ყურადღების ცენტრში ყოფნა და ყველა ჩვენი მოკავშირე საერთაშორისო მოთამაშის მაქსიმალური ჩართვა ამ პროცესში. იმიტომ, რომ, მე მგონი, ესეც აშკარაა, რომ შანსები რუსეთისთვის შემაკავებელი ეფექტის ქონისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობდა, თუ იქნებოდა საერთაშორისო რეაქცია. სამწუხაროდ, ეს ყურადღება არ აღმოჩნდა საკმარისი ამ აგრესიის შესაჩერებლად, წინსწრებად შესაჩერებლად. თუმცა, ამ ყურადღებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა იმისთვის, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად, ქართული საზოგადოების სიმტკიცესთან ერთად, რომ ჩვენ ეხლა აქ ვსაუბრობთ და შევინარჩუნეთ სუვერენიტეტი და საქართველოს ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გრძელდება.

**თავმჯდომარე.** თუ არის შეკითხვები კიდევ?

**ლ.ვეფხვაძე.** შეგახსენებთ, ეტყობა დაგავიწყდათ, ბატონო გიგა, რამოდენიმე შეკითხვა.

**გ.ბოკერია.** თუ შეიძლება გამახსენეთ, თუ რამე დამავიწყდა.

**ლ.ვეფხვაძე.** აგვისტოში დედაქალაქის გადატანა სოხუმში...

**გ.ბოკერია.** დიახ, დიახ, დიახ.

**ლ.ვეფხვაძე.** და იყო კითხვები.

**თავმჯდომარე.** 7 აგვისტოსთან დაკავშირებით, ვის ესაუბრა პრეზიდენტი?

**გ.ბოკერია.** დიახ. და აქ თქვენგან იყო კითხვები ბატონი კვიციანიშვილის დანიშვნასთან და მის კომპეტენციასთან დაკავშირებით. ამით დავიწყებ თუ შეიძლება. მე მგონი, არათუ მისი დღევანდელი გამოხატულების და არათუ მისი საერთაშორისო მედიისთვის მიცემული რამოდენიმე კომენტარის, არამედ უკვე მისი გამოწვევისას გაკეთებული განცხადების ფონზე, აშკარა გახდა ჩვენთვის, ყველასთვის, რომ მისი დანიშვნა იყო სერიოზული შეცდომა, მოსაზრებები მისი დანიშვნისას გახლდათ საკმაოდ მარტივი.

ბატონ კვიციანიშვილს მართლაც ჰქონდა კონტაქტები, პერსონალური და გამოცდილება მოსკოვში მოღვაწეობის. მისი ბიზნესწარსულიდან გამომდინარე, ის ითვლებოდა, რომ იყო ენერგიული და კომუნიკაბელური ადამიანი და ამ მოსაზრებებით მოხდა მისი წარდგენა ელჩად. ეს საკმაოდ რთული თანამდებობაა. მე არ მსურს, რომ გადავავასო მნიშვნელობა, თითქოს ელჩის პერსონას შეეძლო გადაეწყვიტა ის პრობლემები, ეხლა რაზეც ჩვენ აქ ვსაუბრობთ, ეს არასერიოზული იქნებოდა. უბრალოდ, ეს ერთ-ერთი ფაქტორია, ბუნებრივია, სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას. ეს, სამწუხაროდ, აღმოჩნდა სერიოზული შეცდომა, და კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ეს ნათელი გახდა ბევრად უფრო ადრე, თუმცა, რა თქმა უნდა, შემდგომში გაკეთებული განცხადებები, ჩემი აზრით, დასტურია იმის, რომ ადამიანის დეგრადაციის საზღვრები არ არსებობს. რომ დეგრადირებული ადამიანი შეიძლება უსაზღვროდ ეცემოდეს ამ ჭაობში. ამიტომ, რა ვიცი, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, ეს აღმოჩნდა შეცდომა, სამწუხაროდ, ასეთ რთულ ვითარებაში და იმ დროს, როდესაც ეს რთული ფუნქცია იყო შესასრულებელი ელჩისა თუ გადაფასების გარეშე იქნა ეს არჩევანი გაკეთებული.

მე მგონი, იქამდე გავეცი პასუხი რატომ არ იქნა სწრაფადვე მიღებული გადაწყვეტილება მისი გამოწვევის. ძალიან მცირე ხანი მოუწია მას ყოფნა. ეხლა ზედმეტად არ მინდა რომ დავაბრალო ბატონ კვიციანიშვილს, მიუხედავად იმისა, რაც დღეს ყველამ მოვისმინეთ, რომ ეს იყო რამოდენიმე თვე. ეხლა ელჩს და პერსონას სჭირდება დრო, რომ დაძვრას ეს პროცესი და ამ დროს ესკალაცია მოვლენების იყო ძალიან ჩქარი. კალეიდოსკოპური სიჩქარით



მიდიოდა, რა თქმა უნდა, იყო რამოდენიმე მისი ინიციატივა, რომელიც პირადად მე შემიძლია გითხრათ და სხვა ჩემს კოლეგებსაც, ნუ, ძალიან ეფექტურად მოეჩვენათ. ეს იყო მცდელობა, რაღაც განსაკუთრებული კონტაქტის დამყარების, ეგრეთ წოდებული ქართული სათვისტომოს ზოგიერთ წარმომადგენელთან, ბატონ ხუბუტიასთან. ეხლა ამაში არაფერი კრიმინალი არ არის. ეხლა, როცა იქ ელჩი ხარ, ყველასთან შეიძლება იურთიერთო, ნუ, ამას ძალიან ეფექტურ და რაღაც პერსპექტიულ მიმართულებად არავინ არ მიიჩნევდა. იყო მისი რამოდენიმე განცხადება, სადაც მან.. ქართული მედია გააკრიტიკა. ასევე, ჩვენი აზრით, ამას შენიშვნა და ჩვენი მხრიდან ამან შენიშვნა დაიმსახურა, იმიტომ, რომ არასწორი გზავნილი იყო, მაგრამ, ნუ, მთავარი და მძიმე შეცდომა იყო მისი გამოწვევისას გაკეთებული განცხადება, რომელმაც ჩემთვის, პირადად და განსაკუთრებით მასთან საუბრის შემდეგ და ჩემი მხრიდან საყვედურის გამოთქმის შემდეგ, საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ..... რომ ეს იყო შეცდომა და მისი გამოყენება იქნებოდა მომავალში შეუძლებელი.

რაც შეეხება 7 აგვისტოს ბატონ კიწმარაშვილმა დაურეკა თუ არა პრეზიდენტს, არ ვიცი, ბატონო ლევან.

არა, ბატონმა პრეზიდენტმა დაურეკა, როგორც თვითონ თქვა.

**გ.ბოკერია.** ხო, ესე თქვა? არ ვიცი.

არა. იმიტომ, რომ არსებობს ინფორმაცია ....

**გ.ბოკერია.** ეხლა, უბრალოდ, მე .....

.... რომ არამართო კიწმარიშვილს დაურეკა პრეზიდენტმა და ხომ არა გაქვთ, თქვენ ხომ არ იცით ....

**გ.ბოკერია.** არ ვიცი, ნამდვილად .....

დადასტურებულად ვინც დაურეკა.

**გ.ბოკერია.** არა, ჯერ ბატონ კიწმარიშვილზე მოგახსენებთ და ...

**თავმჯდომარე.** ბატონ პრეზიდენტს დავეუსვით მერე ეგ შეკითხვა.

**გ.ბოკერია.** ვერ გეტყვით, ეხლა, ჩემი ვარაუდებისთვის თუ ვარ მოწვეული აქ, რომ გამოვთქვა, ვერ გეტყვით. შეიძლება ბატონ კიწმარიშვილს იმ დროს დაბადების დღეზე უნდოდა ვინმეს დაპატიჟება და საქართველოს პრეზიდენტის. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ არც მე და არც ჩემს კოლეგებს მისი გამოწვევა და ამ მკაცრი საყვედურის შემდეგ მასთან კონტაქტი არ გვექონია. მე ერთადერთ რაღაცაში უნდა დავეთანხმო ბატონ კიწმარიშვილს, მან ბატონ გია ვაშაძეს მისცა შეფასება, როგორც ძალიან მაღალკვალიფიციურ სახელმწიფო მოხელეს და ამას აბსოლუტურად ვიზიარებ და ბატონ გია ვაშაძესთანაც არანაირი კონტაქტი მას ამის შემდეგ არ ჰქონია. საერთოდ მინდა გითხრათ, რომ ყველაზე მძიმე დღეებში ან მერეც, საერთოდ არ გამოჩენილა ბატონი კიწმარიშვილი. ანუ მე უკვე გამოვტყედი, რომ მისი არსებობა აღარ მახსოვდა, ბუნებრივია, იმ გამოწვევების ფონზე, რაც საქართველოს წინაშე იდგა. რაც შეეხება 7 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ განხორციელებული ზარების სიასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ეხლა არ ვარ მზად, რომ დეტალურად გითხრათ. თუმცა დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ რიგ ევროპულ ლიდერებთან და ჩვენს პოლიტიკურ მოკავშირეებთან გვექონდა საუბარი და, ალბათ, პრეზიდენტის მოსვლისას ან იქამდეც, შესაძლებელი იქნება ამ გვარების მოსმენა. შეიძლება ამომწურავი სია არ ჰქონდეს არავის მზად, მაგრამ მთელი რიგი სატელეფონო კონტაქტები იყო. მე მინდა შეგახსენოთ, რომ არ ვიმყოფებოდი ამ დროს, სამწუხაროდ, საქართველოში. სხვათა შორის, ეს ეხმიანება იმ კითხვას, მე მგონი ეს კითხვაც უნდა დაესვათ ჩემთვის და უბრალოდ, პროტოკოლისთვისაც ....

**თავმჯდომარე.** არა.

**გ.ბოკერია.** ხო, პროტოკოლისთვისაც მოგახსენებთ, რომ მე არ გახლდით საქართველოში, როცა ამ კრიზისმა მიიღო უკვე ღია სამხედრო მოქმედებების სახე. ჩემთვის ცნობილი გახდა 7-ში, რომ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა დღის პირველ ნახევარში და ბუნებრივია, მაშინათვე მე დავბრუნდი საქართველოში. სამწუხაროდ, უკვე მაშინ იყო პრობლემები კომუნიკაციების და მე ბოლო რეისით თურქეთის ავიახაზების, გამოვფრინდი და 9-ში დილით ადრე, 8-დან 9-ში ღამეს დავბრუნდი და ამის შემდეგ ვიმყოფებოდი საქართველოში. და მე მგონი, კიდევ ერთი კითხვა იყო თქვენი.

დედაქალაქ სოხუმში დედაქალაქის გადატანა.

**გ.ბოკერია.** დიას. იცით რა, ეხლა მე მოვისმინე ეს მონაკვეთი ბატონი კიწმარიშვილის გამოსვლისა და ეხლა არ ვიცი რა სიტყვებით შევავასო, პროვოკაცია ვუწოდო ამას თუ არა თავისთავად იდეა, რომ სოხუმში საქართველოს მშვიდობიანი და პოლიტიკური გზით რეინტეგრაციის შემდეგ იყოს დედაქალაქი, ეხლა მე რომ სწრაფად მკითხოს ვიღაცამ, მე ეს იდეა ძალიან მომწონს. მაგრამ ამის ინტერპრეტაცია ისედაც დღეს ჩვენ მოვისმინეთ, რომ თურმე საქართველო, რომელიც ყველა გზებით ცდილობდა, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ინტერნაციონალიზაციას სამშვიდობო ფორმატის, ყველა გზებით ცდილობდა რუსეთთან გამონახვას ამ გზების, ამავე დროს საუბრობდა ეს თავისუფლად, რომ სოხუმში, .... გადავიტან, ეს არის აფსურდი, აფსურდი და სხვა სიტყვები მე არ მყოფნის ისევე, როგორც საუბარი იმაზე, რომ, როგორც ბატონმა კიწმარიშვილმა "მონდში" მიცემული კომენტარისას განაცხადა, რომ იმიტომ იყო სენაკის ბრიგადის პატარა ნაწილი დატოვებული სენაკში, რომ ამ ოპერაციის შემდეგ მყისიერად მოხდებოდა სწრაფი გადასროლა და აღება მეორე ტერიტორიის.

სხვათა შორის, მინდა მოგახსენოთ, რომ კონტექსტში თუ ნახავდით თქვენ ამ პუბლიკაციას, იყო სწორედ ასეთი, რომ თვითონ ბატონი კიწმარიშვილი ეკითხებოდა, რომ კი მარა, ნუ, თუ საქართველო გეგმავდა ამ თავდასხმას ცხინვალზე, სამხედრო და შეიარაღებული ძალების ნაწილი სენაკში იყო ბაზირებული და ამას ხსნის ბატონი კიწმარიშვილი, რომ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თავდასხმას არ აპირებდნენ, ორივე მიმართულებით ცდილობდნენ თავდასხმასო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მე არ გახლავართ ფსიქოანალიტიკოსი, რომ ღრმა ანალიზში შევიდე და როგორი ღრმა შეიძლება იყოს დეგრადაცია და დემორალიზაცია ადამიანის, რომელმაც დაკარგა თანამდებობა და ვერ ხედავდა საკუთარი პირადი კარიერის განხორციელების პერსპექტივას.

**ლ.ვეფხვაძე.** ბატონი გიგა, კიდევ ერთი კითხვა. ბატონმა კიწმარიშვილმა ისაუბრა იმაზე, რომ პრეზიდენტის 2004 წელს მოსკოვში ვიზიტამდე რამოდენიმე ხნით ადრე, შეიცვალა ზურაბ აბაშიძე და დაინიშნა ელჩად კოტე კემულარია ანუ მან გააკრიტიკა ეს, ასე ვთქვათ, ფაქტი. თქვენ ხომ არა გაქვთ ინფორმაცია, რითი იყო გამოწვეული ეს გადაწყვეტილება? და მეორე. რაც შეეხება, ელჩების დანიშვნას მე მაინც მგონია და ეს ჩემი რჩევაა საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის, რომ სამწუხაროდ, ძან ხშირად ელჩები ინიშნებიან პოლიტიკური ნიშნით და ეს ეროსი კიწმარიშვილის შემთხვევაშიც, ალბათ, ესე იყო. რადგანაც მან საარჩევნო შტაბში გაატარა გარკვეული პერიოდი და გარკვეული დამსახურებები აქვს, ეტყობა ბატონი სააკაშვილის მიმართ. ჯობია ელჩები დაინიშნონ დიპლომატიური გამოცდილებისა და ცოდნის კუთხით და არა პოლიტიკური ნიშნით. მე ვფიქრობ, რომ ბატონი ზურაბ აბაშიძის გაშვება შეიძლება ამასთან იყო დაკავშირებული.

დაბოლოს, ელჩებს რომ გადახედოთ, ძალიან ბევრი თქვენი თანაგუნდელი, ყოფილი, არის დღეს ელჩი მე ექვთი მაქვს, რომ გარკვეული პერიოდის მერე სხვა ადამიანებიც შესაძლოა მსგავსი განცხადებებით გამოვლენ, რაც დღეს კიწმარიშვილმა გააკეთა.

**გ.ბოკერია.** გმადლობთ. ბატონო ლევან, მე გამომრჩა ერთი კითხვა ბატონ ლორთქიფანიძის, კითხვა კი არა, კითხვა – შეფასება იყო აქ, რაც სისხლის სამართლის საქმეზე იყო საუბარი, მე უბრალოდ ჩემი მოსაზრება მინდა გაგიზიაროთ, როგორც ჩანს, შეიძლება განსხვავებული აზრი მქონდეს მე კომისიისგან, მთელი პატივისცემით კომისიის შეხედულებისა. სიტყვის თავისუფლება გულისხმობს., მათ შორის, ძალიან უპასუხისმგებლო და ზოგჯერ უსინდისო ადამიანების სიტყვის თავისუფლებასაც თუ არ არის კონკრეტული დანაშაულის ნიშნები, რომელიმე ან ქმედებაში, ან განცხადებაში არანაირ დევნას ეს არ ექვემდებარება. ის აბსურდი, რაც დღეს მე მოვისმინე პირადად და სიცრუე, რომელიც არა თუ არაფრით არ დასტურდება ამავე ნალაპარაკებით დასტურდება, რომ სიცრუეა. ერთადერთი შეიძლება იყოს ცილისწამება, არ ვიცი, აქ თანამდებობრივ გულგრილობაზე საუბრობდნენ შესაძლოა, თანამდებობრივი გულგრილობა, ასე ვთქვათ, რეალისტური შეფასება იქნებოდა, ამის რაღაც ნაწილი მაინც რომ სიმართლე იყოს. და თუკი ამაზე რეაგირება არ მოახდინა თანამდებობის პირმა, მე, უბრალოდ, ჩემი შეხედულება მინდა მოგახსენოთ, ამიტომ არავის არ მინდა რომ შეექმნას შთაბეჭდილება, ჩემს პოზიციას მოგახსენებთ, რომ ასეთი უპასუხისმგებლო და უსინდისო განცხადებების გამო შეიძლება მოხდეს საქართველოში დევნა. საქართველოში არის დემოკრატია და აქ ასეთი რაღაცებიც ხდება და, მე მგონი, საზოგადოებაზე უკეთესი მსაჯული იმისი, რა არის სარწმუნო და დამაჯერებელი, არ არსებობს. მე ჩემს მოსაზრებას მოგახსენებთ.

რაც შეეხება, ბატონო ლევან, თქვენს შენიშვნას, მინდა მოგახსენოთ, რომ პრაქტიკა პოლიტიკური დანიშვნების ეს არ არის ქართული პრაქტიკა და მსოფლიოში არსებობს ე.წ. "ქერიერ დიპლომატი"-ები ანუ კარიერული დიპლომატები და პოლიტიკური დანიშვნები. შეცდომებისგან, სამწუხაროდ, არც ერთი, არც მეორე მიმართულებით არ არის დაზღვეული არც ერთი ხელისუფლება. თუმცა, მე ვაღიარებ, ახლა, მეოთხეჯერ მომიწია თქმა და იმედი მაქვს, მეტი არ მომლოწევს, რომ ბატონი კიწმარიშვილის შემთხვევა დიპლომატიურ დანიშვნებს შორის, ალბათ, გამორჩეული შეცდომა გახლდათ, მაგრამ ამ ნიშნით თქმა, რომ პოლიტიკურ დანიშვნებს ადგილი

აღარ უნდა ჰქონდეს, ჩემი აზრით, ძალიან ზედაპირული ანალიზი იქნებოდა.

რაც შეეხება ბატონ ზურაბ აბაშიძის შემთხვევას, ვერ მოგახსენებთ დეტალურ ინფორმაციას. ბატონი აბაშიძე ძაან დიდი ხანი იყო ამ სამსახურში. ის დღეს, თუ არ ვცდები, აკადემიური წრეების წარმომადგენელია, მისი შეხედულებები ჩემთვის, როგორც აკადემიური წრის წარმომადგენლისთვის ცნობილია და არ მიმაჩნია, არათუ არ ვეთანხმები, არ მიმაჩნია თანხედრაში მყოფი იყოს საქართველოს ინტერესებთან. მე არ ვიცი, მაშინ ეს იქნა თუ არა განხილული, არ მქონია პირდაპირი შეხება ამასთან, მაგრამ ზოგადად მინდა გითხრა, რომ ის ხედავს, სხვათა შორის, რისი დემონსტრირებაც დღეს ხდებოდა ასეთი უხეში და სამარცხვინო ფორმებით დღეს ბატონი კიწმარიშვილის მხრიდან, რომ აი, არის საქართველოში ხალხი და რუსეთთან უნდა გამოინახოს საერთო ენა და აი, თუ ამ მთავრობას, აი, ეს რაღაც პოლიტიკური ელიტის პრობლემა თუა და ქართველ ხალხს სურს და რა გვაქვს გასაყოფი. მე მგონი, ყველასთვის ცნობილი არის ეს გზავნილი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქართველო დემოკრატიია და ასეთი გზავნილიც შეიძლება იყოს და უარესიც, მაგრამ ეს არის, როგორც რეალობის დამახინჯება იმიტომ, რომ პრობლემა საქართველოს ხელისუფლებას კი არ აქვს რუსეთთან, პრობლემა აქვს საქართველოს და მის ნაციონალურ ინტერესებს რუსეთთან. და ვინც ამ ორ საკითხს შორის განსხვავებას ვერ ხედავს, მინიმუმ, ღრმად ცდება.

ამიტომ, მე ჩემს პოლიტიკურ შეაფასებას მოგახსენებთ, ბატონო ლევან და პატივცემულო კომისიის წევრებო, ამ ტიპის ხედავს, რომ, თურმე, ჩვენ დავუშვით შეცდომები და ა.შ. არის, როგორც მინიმუმ, ღრმა არაკომპეტენტურობა, არა იმიტომ, რომ საკუთრ თავეში შეცდომები არ უნდა ეძებო და ხელისუფლება, რომელსაც მე წარმოვადგენ, შეცდომებს არ უშვებდა. შეუძლებელია, რომ არ უშვებდეს შეცდომებს. მაგრამ ჩვენ გვაქვს, გვექონდა და, სამწუხაროდ, დღესაც გვაქვს ფუნდამენტური გამოწვევა. ჩვენი კითხვები და შეთავაზებები ჩვენი დიდი ჩრდილოელი მეზობლის მიმართ, რომ რაზე შეიძლება მოვილაპარაკოთ, რომ სუვერენული საქართველო არსებობდეს, გვითხარით ამ კითხვაზე პასუხი, რომ გავამარტივოთ არის ძალიან მარტივი და ძალიან მძიმე. ძლიერი სუვერენული, დემოკრატიული საქართველო არის მიუღებელი რუსეთისთვის. ეხლა, ამ საწყისი პოზიციიდან ვაჭრობა, თუნდაც კარგი გაგებით არის ძალიან ძნელი, იმიტომ, რომ არცერთი პატიოსანი და პატრიოტი ზედმეტი პათეტიზმის გარეშე საქართველოს ხელისუფლება დემოკრატიულად არჩეული არასოდეს არ დათმობს საქართველოს სუვერენიტეტს და ჩვენმა ისტორიის გაკვეთილებმა, მე მგონი, გვასწავლა რას ნიშნავს რაღაც ქაღალდებზე დაყრდნობით გარიგებაზე წასვლა რუსეთის ფედერაციასთან, როცა არანაირი გარიგებები არა გაქვს და წინასწარ დათმობა შენი სუვერენული პოზიციებით როგორ მძიმედ მთავრდება, მე მგონი, ეს საქართველოს ხელისუფლებამ ერთხელ, ძველმა, გამოსცადა მე-20 საუკუნის დასაწყისში.

**თავმჯდომარე.** ბეტონო გიგა, მე მინდა ხაზი გავუსვა თქვენს გამოხმაურებას იმასთან დაკავშირებით. მე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ არავინ არ აპირებს ბატონი ეროსი კიწმარიშვილის წინააღმდეგ დევნის განხორციელებას, ეს იმიტომ, არის ეს კომისია და იმიტომ ხდება გამოხატვა საზოგადოებრივი აზრის, ვთქვათ, იგივე ბატონი ეროსი კიწმარიშვილის აზრების მისმენა. მაგრამ მე ცალსახად მინდა, ხაზი გავუსვი იმას, რომ რაც მან აღნიშნა და ჩვენ თუ მართლაც გვინდა რაღაც სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება, რაც მან აღნიშნა და ხაზი გაუსვა იმ მსჯელობებს, რაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ეს ასე არ არის და, ვთქვათ, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ შევკითხებით სხვა თანამდებობის პირებს, იქ მოხსენებულ ბარათებში არ არის არაფერი აღწერული. ეს ერთი, როგორც დიპლომატის, ნუ, ეს შეიძლება ამიტომ გავუსვი ... ხაზი მის მხრიდან, მე ხაზს ვუსვამ ეს არ არის მის მიმართ დევნის არმპრა. ხოლო რაც შეეხება მეორე საკითხს, რაც მე მიმაჩნია უფრო მნიშვნელოვან საკითხად და, ალბათ, კომისია იმსჯელებს ამ საკითხთან დაკავშირებით, ბატონი ეროსი კიწმარიშვილმა ჩვენ არ გვითხრა კომისიის სხდომაზე იმ ე.წ. ვთქვათ, ვიღაც ადამიანები, რომლებიც აძლევენ ნებართვას ომის დაწყებაზე და ამიტომ აქედან გამომდინარე, ალბათ, კომისიაზე, კომისია იმსჯელებს. ჩემთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ თუ ეს ტყუილი არის და მე როგორც ვხედავ იგივე ყველა განცხადებები და ეს თუ სიმართლე იყო, თავად ბატონი ეროსი დაასახელებდა გვარს ამ ადამიანისა ან ამ უცხოელის, არ ვიცი ვინც არ უნდა იყოს მე არ მინდა, რომ საზოგადოება იყოს შეცდომაში შეყვანილი ამ მიმართულებით. შეიქმნას შთაბეჭდილება იმ მიმართულებით, რომ თითქოს არსებობს ვიღაც ადამიანი, ვისაც, ვთქვათ, იგივე არც კიწმარიშვილი ასახელებს, არც კომისია ინტერესდება. ეს სცილდება კომისიის ფორმატს და ამ საკითხთან დაკავშირებით, მუშაობა, აქედან გამომდინარე, ალბათ, კომისია იმსჯელებს ამ ფაქტის გამოვლენასთან დაკავშირებით. ბატონო ლევან, თქვენ გასურდათ რაღაც.

**ლ.ვეფხვაძე.** რეპლიკის სახით, თუ ნებას მომცემთ ამავე საკითხზე. ბატონო გიგა, თქვენ ბრძანეთ, რომ სიტყვის თავისუფლება შეუზღუდავია, სრულიად გეთანხმებით. აქ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით მე არ მიგულისხმია. მე გავუსვი კიდევაც ხაზი თუ რას ვგულისხმობდი, როცა ელჩი უნდა იყოს აღჭურვილი კონკრეტული დირექტივებით და ამ დირექტივებით შესრულებაზე უნდა არსებობდეს კონტროლის ჯგუფის ანალიზი და იგი არ ასრულებს ამ კონკრეტულ დირექტივებს, მეტიც, იგი თვითნებობს და აკეთებს ისეთ განცხადებას, რომელიც სახელმწიფოებრიობას უქმნის საფრთხეს. ამ შემთხვევაში ის შეიძლება გახდეს გადახედვის საკითხი და მსჯელობის საკითხი კომპეტენტური ორგანოების მიერ. აი, მე ვაკონკრეტებ, კონკრეტულად, თუ რას ვგულისხმობდი, როცა ამას ვამბობდი.

გმადლობთ.

**გ. ზოკერია.** დიდი მადლობა. კიდევ ერთი საკითხი იყო, თუ, მე მგონი კითხვები არის კიდევ, უკაცრავად.

**ლ.ვეფხვაძე.** ხო, კითხვას გავაგრძელებთ. მე მინდა ჩემი პოზიცია გამოვხატო ეგრეთ წოდებული სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით. ჩემი პოზიცია აბსოლუტურად ამ შემთხვევაში ის ერთადერთი, ასე, გამონაკლისი შემთხვევაა, ბატონო გიგა, როცა ჩვენი პოზიციები ემთხვევა ერთმანეთს. მე მგონი, რომ საკმაოდ გადაჭარბებული იქნება სისხლის სამართლებრივი, ესე ვთქვათ, დევნის მოთხოვნა და არ შეიძლება ესეთი საკითხები დადგეს კონკრეტული, ასე ვთქვათ, ადამიანის შეხედულებების გამო. ძირითადად, რაც აქ მოვისმინეთ, ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც იყო პოლიტიკური შეფასებები და შეფასებების გამო არ შეიძლება ადამიანების დასჯა. ეს ერთი.

მეორე კითხვა, რომელიც მე მაქვს, ბატონო გიგა, ეხება რუსულ-ქართული ურთიერთობების გარკვეულ, ასე ვთქვათ, კონტექსტს და ისტორიას, ჩვენ, ერთის მხრივ, ეს კომისია, ასე ვთქვათ, შექმნილია იმისთვისაც, რომ ჩვენ დავადგინოთ რამდენად ჩვენ შეგვეძლო აგვეცილებინა ეს კონფლიქტი და არ ავიცილოთ, რამდენად გააკეთა ქართულმა მხარემ ყველაფერი იმისთვის, რომ არ ყოფილიყო ეს კონფლიქტი შესული იმ მდგომარეობამდე, რაც აგვისტოში მოხდა.

ჩემი კითხვა შეეხება ესეთ რამეს: ხომ არ იყო თავის დროზე 2004-ში ან 2005-ში ან 2006-ში ქართული მხრიდან აღებული რაიმე ვალდებულება რუსული მხარის წინაშე, რომელიც ჩვენ არ შევასრულეთ და ამით ჩვენ გარკვეული არასათანადო პარტნიორის შთაბეჭდილება დავტოვეთ ან შევქმენით ეს პოზიცია, ერთ – ერთი. რატომ, მე გეკითხებით, რატომ, გეკითხებით? ერთ-ერთი ასეთი თემა არის ეგრეთ წოდებული მესამე ქვეყნის ბაზების არგანთავსების საკითხი, რაღაცა, ეს იყო რუსულ მედიაში გაჟღერდა იმის შესახებ, რომ ჩვენ თავის დროზე გვექონდა ამაზე ვალდებულება აღებული. თუმცა, ჩვენ, ბრჭყალებში ვიხმარ ჟარგონს, და გადავადგეთ რუსული მხარე და არ შევასრულეთ და ამის შემდეგ გახდა ნელ-ნელა ჩვენი ურთიერთობა, ასე ვთქვათ, არაპარტნიორული და წავიდა იქითკენ, რითაც დასრულდა.

**გ.ზოკერია.** შეიძლება, მადლობა. ბატონო ლევან, მოხარული ვარ, რომ დავადასტურებ, რომ აქვე ჩვენ ვერ ვთანხმდებით შეფასებაში, ბატონი კიწმარიშვილის განცხადებები არ იყო პოლიტიკური შეფასებები, ეს იყო უბრალოდ სიცრუე, ფაქტები, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება. მაგრამ ამისთვისაც დასჯა დემოკრატიულ ქვეყანაში ყოველთვის არ ხდება. ცილისწამებაზე სისხლის სამართლებრივი დევნა ჩვენ არა გვაქვს. რაც შეეხება ეგრეთ წოდებული გადაადგების თემას, მოკლე პასუხი არის ბატონო ლევან, არა. უფრო ვრცლად რომ გითხრათ, საუბარი მესამე ქვეყნის ბაზების არგანლაგებაზე, ეგრეთ წოდებულ ანტიტერორისტულ ცენტრებზე. ეს თემაც ზოგჯერ გაიჟღერებს ხოლმე, რუსული მხრიდან, პერიოდულად წამოტივტივებდა ხოლმე. პრობლემა რაში მდგომარეობდა, იცით, ბატონო ლევან, რომ როდესაც ასეთ თუნდაც მიუღებელ მოთხოვნაზეა ლაპარაკი, ნებისმიერი საღად მოაზროვნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თანამდებობის პირი და ქვეყანა მთლიანად, რომელიც საკუთარ ..... იცავს, უნდა ზრუნავდეს იმაზე, რას იღებს აქედან, ხომ. ანუ, როცა საუბარია მესამე ქვეყნის ბაზების არგანლაგებაზე, მე შემიძლია მივცე თავს უფლება, როგორც ერთმა თანამდებობის პირმა, ჩემი მოსაზრება მოგახსენოთ. საქართველო დღესაც გახსნილი არის ამ დისკუსიისთვის ოღონდ უნდა იყოს ნათელი, რას ვიღებთ ასეთი კომპრომისის გამო და რა გარანტიებს ვიღებთ. ის საუბარი, რომელიც ჩვენ გვესმოდა მთელი წლების განმავლობაში და რომლის შედეგებსაც მერე ვიმკვიდით და ამ ტიპის პოლიტიკის შედეგები წინა ხელისუფლების დროს მოვიმკვით ძალიან მძიმედ, რომ მართლ ერთი მხარე მიდის კომპრომისზე. კიდევ ერთ რამეს იზამს და კიდევ ერთს, ამაში არაფერს არ იღებს და დიდი მეზობელი გეუბნება, რომ – აბა, კიდევ კარგად მოიქეცი, – "ბრჭყალებში," და ვნახოთ მე რას გაგიკეთებ, მხოლოდ ჩვენი პოზიციების დასუსტებას ემსახურებოდა.

სერიოზული ლაპარაკი ასეთ თემაზე, რომ როგორ შეიძლება მოილაპარაკონ საქართველომ და რუსებმა, რუსეთმა ისეთ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე, რომელიც ორივე ქვეყნისთვის მისაღები იქნება გარკვეული კომპრომისების სახით, ვერ შედგა. ვერ შედგა იმიტომ, რომ ასეთი პასუხი ჩვენ ვერ მოვისმონეთ. გარდა, მე ხაზს ვუსვავ, აი, ამ ტიპის ძალიან დამამცირებელი ფრაზისა, რომ – თქვენ ჯერ კარგად მოიქეცი, – "ბრჭყალებში", და ვნახოთ. ეს გამოიხატებოდა, მე ეხლა, თქვენ, ალბათ, გაეცანით, ხომ, ბატონი მედვედევის პასუხს პრეზიდენტ სააკაშვილის წერილზე. .... ხაზით, თქვენ ჯერ გამოდით კოდორიდან აი ის, რაც ხელშეკრულება დადეთ და მერე ჩვენ დავიწყოთ ფიქრი შეიძლება თუ არა დევნილები როდესმე დაბრუნდნენ.

მე მინდა შეგახსენოთ, რომ 1990 წლების დასაწყისში კაპიტულაცია მოხდა ქვეყნის მხრიდან, გადაბარება მოხდა რუსული, რუსეთის რეზიდენტებისათვის ხელისუფლების, პრაქტიკულად, საკვანძო თანამდებობიდან და იყო ილუზია, რომ ამახ მოყვებოდა მყისიერი გადაწყვეტა და პოზიტიური დაძვრა რაღაც პროცესების. არა თუ ეს არ მომხდარა, ბატონო ლევან, პირიქით, მაშინ ჩვენ მივიღეთ ფორმატები და შეთანხმებები, რომელიც აი, ამ ბოლო პერიოდამდე გვიქმნიდა ჩვენ ძალიან სერიოზულ პრობლემებს. ამიტომ, პასუხი არის, რომ ჩვენ არავინ არ

გადაგვიგდია, ჩვენ მზად ვიყავით სადი აზრის ფარგლებში სერიოზული ვაჭრობისთვის. ოღონდ არა საქართველოს სუვერენიტეტის ფუძემდებლური პრინციპების და არა ჩვენი ტერიტორიის ხარჯზე. აი, ასეთი იყო და არის ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილის დაკვეთა. იმიტომ, რომ ვილაცამ შიძლება თქვას, რომ შეთანხმება მესამე ქვეყნის ბაზების არგანლაგებაზე არის სუვერენიტეტის დათმობა. ნუ რაღაც შეზღუდვა არის, მაგრამ ეხლაც ვადასტურებ, ბევრ ჩვენს მოკავშირე ქვეყანას ასეთ რაღაცეებზე მიღწეული აქვს შეთანხმება, ოღონდ ეს შეთანხმება მიღწეულია არა უფასოდ, არამედ იმაში, რომ ჩვენ გვექნებოდა გარანტიები უსაფრთხოების, გარანტიები ჩვენი დევნილების დაბრუნების, გარანტიები საქართველოს სუვერენიტეტის ვედარშელახვის, გარანტიები ჩვენი საუკუნეობრივი ბრძოლის, არ გადავაჭარბებ, საბოლოო დაგვირგვინების, რომ ჩვენ აღარ გვექნებოდა მყისიერი საფრთხე ჩვენი სახელმწიფოებრიობის გაქრობისა. და ასეთი არათუ გარანტიები სიგნალებიც კი არ გამოუშვეს.

თქვენ მკითხეთ, რომ პუტინის პირველი შეხვედრა, მედევედვის შეხვედრა. იყო კარგი შეხვედრები პერიოდულად. მე არ ვიცნობ ზუსტ დეტალებს საუბრისას, რამდენადაც მახსოვს, არანაირი მკაფიო გარანტიები, რომ ამ კონფლიქტს მოგიგვარებთ, არ ყოფილა საერთოდ. იყო ზოგადი კეთილგანწყობის დაფიქსირება, მაგრამ, როცა მერე საქმე საქმეზე მიდიოდა, რომ ეხლა უნდა დავძრათ ეს პროცესი, ხომ, ან გნებავთ სხვა რამესთან მიმართებაში, იქვე ვლინდებოდა უკეთეს შემთხვევაში შეზღუდული ნეგატიური პოზიცია და უარეს შემთხვევაში პირდაპირი აგრესია. მე გითხარით, რომ ჩემს დონეზე მოგიყვანთ ერთ მაგალითს–თქო.

თუ დღეს ვიცი, რომ ძალიან დაიღალა კომისია და ნებას დამრთავს თავმჯდომარე, პატივცემული წევრები, 2 წუთს კიდევ წაგართმევთ. მე გახლდით საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ევროსაბჭოში. 2004 წლის ივნისში, პირველი ვიზიტისას ევროსაბჭოს ასამბლეაში, სწორედ ამ ტალღაზე, ბატონო ლევან, მიუხედავად ასლან აბაშიძესთან დაკავშირებული პერიპეტეებისა, ჩვენ მოვაწყეთ ოფიციალური შეხვედრა რუსულ დელეგაციასთან, რომ მას ხელმძღვანელობდა მაშინაც და ეხლაც ბატონი კოსაჩოვი და ბატონი მარგელოვი იყო ერთ-ერთი აქტიური წევრი, ტელევიზიების მონაწილეობით, სადაც ჩვენ ჩამოვართვით ხელი, ჩვენ გავაკეთეთ მკაფიო განცხადებები, რომ გვინდა სუფთა ფურცლიდან ახალი ურთიერთობის დაწყება. საქართველო და რუსეთი დაინტერესებულნი არიან, ორივე იყოს ძლიერი, დემოკრატიული. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ერთმანეთის და ძალიან პოზიტიური რაღაც იყო და ჩვენ მივიღეთ ერთობლივი დეკლარაცია. ასეთი განცხადება გაკეთდა ორივე მხრიდან და შემდეგ ჩვენ დავჯექით სწრაფად, ნახევარ საათში უნდა ყოფილიყო ერთობლივი დეკლარაცია და ჩვენმა რუსმა კოლეგამ, ბატონმა კოსაჩოვმა შემომთავაზა ვარიანტი, ....პატარა განცხადება, ბევრი კარგი სიტყვა იყო, მაგრამ, არაფერი, კონკრეტული არაფერი. მე ვუთხარი რომ ძალიან მომწონს განცხადება, ერთი .... უნდა ჩავამატოთ, რომ მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებდნენ, ორმხრივ პატივისცემას ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მიმართ. ....და ეს იყო 2004 წლის, ეს ცხინვალის მოვლენებამდე ხდება ეს. ასლან აბაშიძის შემდეგ, აი მოკლე მონაკვეთში, იცით გიგა, ამას ვერ ჩავწერო, იმიტომ, რომ არა ვარ მზად, რომ ასეთ რამეზე ხელი მოვაწერო. ნუ, ბუნებრივია ამაზე ჩემი პასუხი იყო, მაშინ ვერანაირ დოკუმენტს ჩვენ ხელს ვერ მოვაწერთ. მე კი არ მინდა ვთქვა, რომ ეს ჩემი ეპიზოდი იყო გადამწყვეტი. უბრალოდ, ეს ეპიზოდი არის ილუსტრაცია იმ ღრმა პრობლემის, რომელიც სამწუხაროდ ჩვენ დღემდე გვაქვს. ვერმიღება იმ უბრალო ფაქტის, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა და აღარ არის ლამაზი კოლონია, სადაც უყვართ დასასვენებლად ჩამოსვლა და რომელთა პოეტები უყვართ, ცეკვა-თამაში უყვართ და ასე სიყვარულით, როგორც კოლონიის გულუბრყვილო მკვიდრებს ეპყრობიან – ეს რომ დამთავრდა, ქართველი ხალხი ამას არასოდეს არ მიიღებს.

მაგრამ, მოსკოვის პოლიტიკა ეს ახალი რეალობა არა აქვს მიღებული და ამიტომ გრძელდება ჩვენი ბრძოლა, რა თქმა უნდა, მე არ ვამცირებ პრავდატულ ფაქტორებსაც, რაც უკავშირდება ენერგოკორიდორის თემას. ეს ძალიან პრავდატული მოტივია, მაგრამ არის ეს ემოციური სუფთა პოლიტიკური მოტივიც, რომ საქართველოს დაკარგვა ნიშნავს საბჭოთა კავშირის აღდგენაზე ოცნების დასამარებას და საქართველოს დაბრუნება, კონტროლის ქვეშ არის მთავარი კომპონენტი მოდერნიზებული საბჭოთა კავშირის აღსადგენად.

**გ.გაბაშვილი.** ბატონო გიგა, თქვენ პოლიტიკური ლიდერი იყავით პარლამენტისა, ევროსაბჭოშიც ხელმძღვანელობდით ჩვენს დელეგაციას და ახლა მოღვაწეობთ სააგრეო საქმეთა სამინისტროში. თქვენი მოსაზრება მაინტერესებს ერთ საკითხთან დაკავშირებით. ბატონი ეროსი ავითარებდა დღეს ასეთ იდეას, რომ ეს ომი გამოიწვია პერსონალურმა კონფლიქტმა სააკაშვილსა და პუტინს შორის. თქვენ ახლა ისაუბრეთ იმაზე, რომ მაშინაც კი, როცა რუსეთს პარტნიორის სახით საქართველოში ჰყავდა იგორ გიორგაძის, კვირაიასა და ვარდიკო ნადიბაიძის სამეული მათი მოთხოვნითვე დანიშნული ან სხვა დროს, ვთქვათ, როცა იყო შევარდნაძე-თარგამაძე-ნარჩემაშვილი, სხვადასხვა ხელისუფლებები სხვადასხვა კომპოზიციებით, ყოველთვის ეს საკითხი იყო რუსეთის მხრიდან, ასე ვთქვათ, ზუსტად იგივე მიმართულებით მოძრაობდა საკითხი, როგორც მოძრაობდა ბოლო პერიოდში, ბოლო პერიოდში განსაკუთრებული კიდევ ინტენსივობით. და ჩვენი ელჩის ტაქტიკა, მე მინდა გითხრათ, რომ ის მაშინაც, როცა ის იყო ელჩი და შეგვხვდა ჩვენ, პარლამენტარებს, მისი მიდგომა იყო ასეთი, რომ აი ამ პერსონალური კონფლიქტიდან გამომდინარე, მედევედვის პოლიტიკა უფრო ლიბერალური იქნება და უფრო ლიბერალურია, ვიდრე იყო პუტინისა იმიტომ, რომ პერსონალურ კონფლიქტს ჰქონდა ადგილი პუტინსა და სააკაშვილს შორის. მაინტერესებს თქვენი პოზიცია. ის ამ პოზიციას, როცა ის იყო ელჩი, თქვენთან აფიქსირებდა ან, საერთოდ, რა ინსტრუქციას იღებდა თუ ეს მისი პერსონალური იმედი იყო მედევედვის

ლიბერალობასთან დაკავშირებით თუ ჩვენ გვქონდა რაღაც მონაკვეთი, ვთქვათ, იმ შეხედულების, რომ შეიძლება მედვედევი უფრო ლიბერალურ მმართველად განვიხილოთ?

**გ.ბოკერია.** მე არ ვიხმარდი ამ ტერმინს "ლიბერალური", ამ სიტყვის მნიშვნელობა რუსეთთან მიმართებაში რას ნიშნავს, ძნელი წარმოსადგენია. ამის არანაირი ნიშანი ჯერჯერობით არ არის, თუმცა, რა თქმა უნდა, იმის იმედი, თუკი ამის შანსი იყო, რომ პრეზიდენტ მედვედევს, რომელსაც უნდა დაემყარებინა ახალი ურთიერთობები მსოფლიო თანამეგობრობასთან, არ სჭირდებოდა, არ დასჭირდებოდა ამ ტიპის გართულებები დასავლეთთან. ამის იმედი არსებობდა და ამაზე ჩვენ უნდა გვეთამაშა, ამ სიტყვის კარგი გაგებით, უნდა გვეცადა. მე ვერ გეტყვი, რომ ამის რამე მყარი წინაპირობები იყო, მაგრამ, ბუნებრივია, ამის მცდელობას ადგილი ჰქონდა. მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მიუხედავად ძალიან აგრესიული ჟესტისა ახლად დანიშნული პრეზიდენტის ინაუგურაციიდან რამოდენიმე დღეში, -სარკინიგზო ჯარების შესვლა, - შეხვედრა შედგა, თქვენ გახსოვთ, ალბათ. პრეზიდენტ სააკაშვილის იქ განცხადების მთავარი აზრი, რომ ჩვენ გვაქვს რთული პრობლემები, მაგრამ გადაუწყვეტელი პრობლემები არ არსებობს და ჩვენ გვქონდა ეს მცდელობა. ეს ბუნებრივი მცდელობაა. თქვენ თუ მეკითხებით, რომ შიდა დისკუსიისას გამოითქმებოდა თუ არა მოსაზრებები, რომ უფრო საიმედოა მედვედევის ყოფნა მრავალი ფაქტორის გამო, იყო ასეთი მოსაზრებები, მაგრამ ჩვენი ტაქტიკა მარტო ამაზე გათვლილი ვერ იქნებოდა. ჩვენ ყველა შემთხვევაში უნდა გვეცადა საერთაშორისო ყურადღების და მაქსიმალური ჩართულობის ფონზე, რომ გვეთამაშა სწორედ იმაზე, რომ წავიდოდა თუ არა რუსეთი ასეთ რისკზე, საერთაშორისო თანამეგობრობათა კონფონტაციის, მათ შორის, რომ გაეგრძელებინა ის აგრესია, რომელიც დაიწყო მარტში, მე კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ მიუხედავად სერიოზული საერთაშორისო მხარდაჭერისა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალწლიანი მცდელობის შედეგად, პირველად გვქონდა პირდაპირი ჩართულობა საერთაშორისო მოთამაშეებისა ამ მოლაპარაკებებში, ამ რეაქციამ დაიგვიანა, ვერ შესძლო შეჩერება პირდაპირი აგრესიის. უფრო სწორად, შეგვიძლია დავაზუსტოთ, რომ რუსეთმა მოახდინა დაჩქარება პროცესის, ეხლა ვერ გეტყვით და არა მაქვს ინფორმაცია ეს კალკულაცია იყო თუ არა დაკავშირებული მაინცდამაინც ამ პროცესების დანახვის და მათი მხრიდან. თუმცა ლოგიკური ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ესეც ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რომ მოახდინეს დაჩქარება პროცესების და სწრაფად ეხლა, მე მოგიყვანეთ მაგალითი, ხომ, შტაინმაიერს უთხრეს უარი, რომ არ გვცალია და 3 აგვისტოს და 2 აგვისტოს, შეხვედრები ვერ შედგება, ივლისის ბოლოს.

და მაინც კიდევ ერთხელ მინდა დავუბრუნდე იმ შეთავაზებას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა და წერილს, რომელიც პირადად გადაეცა რუსეთის პრეზიდენტს და, სხვათა შორის, რომელსაც არ გაუვლია ფილტრი საერთაშორისო თანამეგობრობასთან კონსულტაციებისა. იცით, რატომ? იმიტომ, რომ რუსეთის მხრიდან იქამდე იყო რამოდენიმეჯერ ნათქვამი შეხვედრებზე, რომ ჩვენ არ გვსიამოვნებს, როცა თქვენი ინიციატივები სამშვიდობოს ჯერ საერთაშორისო ორგანიზაციაში წარადგენთ, სხვებთან გადიხართ კონსულტაციებს და ჩვენთან პირდაპირ არ საუბრობთ, და შეგახსენებთ, რომ ბატონი მედვედევის გზავნილი ასეთი იყო, რომ ჩვენ პირდაპირ უნდა შევძლოთ დალაპარაკებაო. სწორედ ამის გათვალისწინებითაც მოხდა პირდაპირი კომუნიკაცია ამ ფილტრების გავლის გარეშე, მაგრამ პასუხი იყო იგივე, რაც მოგახსენეთ, რომ მაღლობა თქვენი წერილისთვის, თქვენ ჯერ გააკეთეთ "ა", "ბ", "გ", "დ", "ე", და მერე ვნახოთ, როგორ მოგექცევი. ეს იყო სიგნალი და მერე უკვე, მე მოგახსენეთ, რომ ასტანაში, იქამდე, შეხვედრისას პირდაპირ ითქვა, რომ, ნუ, არ არსებობს მზადყოფნა ჯერჯერობით და აგვისტოს შეხვედრაზე იქვე ითქვა უარი, რომ ვერ შედგება აგვისტოს ის დიდი სამიტი, სადაც უნდა მომხდარიყო დამკვრა მრავალი პრობლემის და აქ, მე მგონი, ახსენეს, რომ რაღაც იმაში, დოღზე დაპატიჟება მოხდა სექტემბერში, ეს, დოღზე ახლა ყველა დსთს ყოფილ წევრს ეპატიჟებინან. თუ რამე სპეციალური გაწყვილება არ არსებობს, რომ შედგეს საუბარი და რეალური დისკუსია, ხომ, ეს არაფერს არ ნიშნავს საერთოდ.

**თავმჯდომარე.** თუ არ არის მეტი შეკითხვები. ჩვენ. ფაქტიურად...

**გ.ბოკერია.** ბატონო თავმჯდომარე, შეიძლება ერთი რამე, რომ ვთქვა, რომელიც ..... მე, უბრალოდ, ეს შეეხება აქ დღის განმავლობაში მოხსენიებულ ფაქტებსაც, ისე, როგორც ზოგად დისკუსიას ქართულ საზოგადოებაში და იმ აქტუალურ საკითხზე, როგორ უნდა გააგრძელოს საქართველოს ..... ბატონმა კიწმარიშვილმა ბრძანა, რომ კოდორზე შეტევა იქნა გაჩერებული აფხაზეების თხოვნით და მარიონეტული რეჟიმის თხოვნით. უბრალოდ, მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ჩვენს თანამოქალაქეებს, მათ შორის, იმათ, რომელთაც ჩვენგან ფუნდამენტურად განსხვავებული ხედვა აქვთ საქართველოს მომავალზე, სამწუხაროდ. მაგრამ იმავე ხაფანგში ხელმეორედ არასოდეს საქართველო აღარ უნდა გაეხვიოს, სანამ ჩვენ, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, გვაქვს ექსკლუზიური კონტროლი რუსეთის ფედერაციის, სამხედრო თვალსაზრისით, ამ ტერიტორიებზე. საუბარი იმაზე და ილუზიის შექმნა, რომ სხვა მოთამაშეები იქ ცვლიან რეალობას, არის ან თავის მოტყუება ან გაგრძელება ჩვენი მტრის ხაზისა და ეს არის, უბრალოდ, სასაცილო, რომ განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც მოხდა აგვისტოში, როცა ყოველგვარი პროვოცირების გარეშე მოხდა ზემო აფხაზეთზე თავდასხმა ყველა შეთანხმების დარღვევით, ყოველგვარი

საფრთხის გარეშე და შემდეგ უკვე შემოჭრა დანარჩენ საქართველოს ტერიტორიაზე, მას შემდეგ, რაც სენაკის ბაზაზე განლაგებული ის ნაწილი ქართული სამხედროების იქნა გადმოსროლილი მთავარ ფონზე, იქამდე ეს არ უქნიათ. ლაპარაკი იმაზე, რომ იქ ვილაცები ვილაცებს აჩერებენ და რაღაც შანსი გვაქვს, ხაზს ვუსვამ, რომ ამითი არ მსურს სრულიად გვერდზე გადადება იმ თემის, რომ ჩვენს საკუთარ მოქალაქეებს და მათ წარმომადგენლებს არ უნდა ველაპარაკოთ, უნდა ველაპარაკოთ და მათ უნდა დავანახოთ ჩვენი ხედვა საქართველოს მომავლისა, მაგრამ ამ თამაშის ხელახლა წინ წამოწევა ეს არის ზუსტად ის, რაც მოსკოვს სურდა და სურს დღესაც. მე შეგახსენებთ, რომ დღესაც ცინიკურად ჩვენ გვესმის განცხადებები, რომ რუსეთი არ არის მხარე კონფლიქტის და იქ ვილაც მხარეები ერთმანეთს ელაპარაკებიან და რუსეთი არის გარანტორი. ეს, რა თქმა უნდა, ასე აღარ არის და აღარასოდეს საქართველო ასეთ ფორმატებს აღარ მიიღებს, როგორი რთულიც არ უნდა იყოს ჩვენი ბრძოლა მომავალში.

**თავმჯდომარე.** ბატონო გიგა, ძალიან დიდი მადლობა მოზრძანებისთვის, იმ ინფორმაციისათვის, რაც ჩვენ მივიღეთ და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, ის დოკუმენტები, რაც თქვენ დაასახელებთ, ჩვენ მაშინაც ველაპარაკეთ საგარეო საქმეთა მინისტრს და იმედი გვაქვს, რომ დოკუმენტებს თქვენ გადმოგზავნით და...

**გ.ბოკერია.** რომელი გვაკლია, იქნებ, გვითხრათ, რომ...

**თავმჯდომარე.** ჩვენ არ მიგვიღია ის პაკეტი საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ყველა ის წერილები, ის პასუხები

**გ.ბოკერია.** ეხლავე დაგიტოვებთ, იმიტომ, რომ აქა მაქვს ასე, რომ მერე არ მოხდეს...

**თავმჯდომარე.** დიახ. დიდი მადლობა ამისათვის და გამოვთქვამ იმედს, რომ თუ ჩვენ დაგვჭირდა კიდევ დამატებითი ინფორმაციის მიღება ჩვენ დაგიკავშირდებით, ამ ინფორმაციას მივიღებთ. დღეს კომისია ამთავრებს მუშაობას. კომისიის წევრებს მინდა ვთხოვო, რომ ჩვენ ხვალ, ძალიან ბევრი ინფორმაცია მივიღეთ დღეს და აქედან გამომდინარე, ალბათ, ხვალ სამუშაო რეჟიმში შევიკრიბოთ, რათა განვიხილოთ, თუ ვინ უნდა იყოს დამატებით გამომახებული კომისიის სხდომაზე. ხვალ ეს საკითხი გავიაროთ და უკვე ხუთშაბათიდან ღია სხდომაზე დავიწყეთ მუშაობა. დიდი მადლობა კიდევ ერთხელ. დღეს კომისია ამთავრებს მუშაობას.